

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 42

2020



მთ. რედაქტორი

ალექს დოლაძი

პოეტი, საქართველოს
მწერალთა და მეცნიერთა
აკადამია „ქალდეა-
საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ანიშაული“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-849-6 (42 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არეზიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მეცნიერის, ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეო მეცნიერობის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბირ

(გაგრძელება)

დიდმა რუსმა მწერალმა ანა ანტონოვსკაიამ თითქმის ნახევარი სიცოცხლე შესწირა გიორგი სააკაძის შესახებ სამართლიანი, დამსახურებული ტილოს შექმნას.

კრიტიკოსი ჯანსუდ ღვინჯილია აღნიშნავდა: „ეროვნებით სხვამ შეხედა და დააფასა გიორგი სააკაძის დამსახურება სამშობლოს წინაშე, ქვეყნის წინაშე. ანა ანტონოვსკაიას „დიდ მოურავში“ პიეტრო დელი ვალე შაპ-აბასის კარზე მყოფ გიორგი სააკაძეს ეკითხება – „რომელ ქვეყანას უნდა უმადლოდეთ ცეცხლისა და მარმარილოს ესოდენ შეხამებას?“ ცხადია უპირველეს ყოვლისა „დიდი მოურავის“ ავტორი ხედავდა დიდ შვილში ცეცხლისა და მარმარილოს ესოდენ შეხამებას.

თავისი შემოქმედებით ანტონოვსკაიამ აღნიშნა კიდეც დიდი მოურავის განუსაზღვრელი დამსახურე-



ბა საქართველოს სამეფო კარზე. თუმცა საქართველოს ისტორიოგრაფიის იმდროინდელ დონისაგან განსხვავებით, მწერალს რომანზე მუშაობა უხდებოდა მაშინ, როცა ყალიბდება სოციალისტური წყობილება და მისი იდეოლოგია ზენიტში იმყოფებოდა. რაც კინოსცენარშიც იქნა გადატანილი. ამას მოჰყვა ზოგიერთი კრიტიკოსის, მეცნიერისა თუ მწერლის (როსტომ ჩხეიძე, ლევან სანიკიძე, მარიამ ლორთქიფანიძე...) განსხვავებული შეხედულებები ან ისტორიას ჩაბლაუჭებული ფაქტები.

გიორგი სააკაძის მამულიშვილური გულწრფელობა შეურევებელი იყო თუნდაც იმ თხეთმეტწლიანი „ორთათრიანობით“ (სპარსულ-ოსმალურ ჟამსაბრუნავშიც). გულწრფელობა-მეთქი, რადგან სულ სხვა იყო მისი ცალკეული პოლიტიკური ცოორმილებანი.

„უაღრესად კეთილშობილური და გრანდიოზული იყო მისი განაზრახი „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა და აღზევებისა. მაგრამ ამდენადვე უმართებულო და უნიადაგო იყო ამ უკეთილშობილებს განზრახულობათა განხორციელების გზები და საშუალებები. მას ბავშვის სიწრფელით სჯეროდა, რომ მისი სალოცავი საქართველოს გადარჩენა, გაერთიანება და გამძლავრება სწორედ ქართველი ხალხის მომტრე უცხო ძალების საშუალებით შეიძლებოდა. სწორედ ამ „უბადრუქ წინააღმდეგობათა“ წყალობით, რომ სააკაძის ბევრ თანამედროვეს (ზოგ-



ჯერ ჩვენს თანამედროვესაც) უცხოეთის გზებზე მოსი „სამამული შვილო ძიებანი“ სამშობლოს დალატად და რენეგატობად ეწვენებოდათ, ვინაიდან დიდი მჭედელი მშობლიური ისტორიისა ხშირად საკუთარ სამშობლოს მოსისხლე „უცხო თესლთა“ ისტორიასაც სტკედდა თავგამოდებით“.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიცით, გოორგი სააკაძემ ჯერ ინდოეთში, ყანდაარის დალაშქრისას ისახელა თავი და პირველი შეიჭრა ციხე ქალაქში, შემდეგ ოსმალთა წინააღმდეგ ომში მიიღო მონაწილეობა და ბალდადის აღებისას გამოიჩინა თავი. მისი გმირული საქმეები ირანში საყოველთაო აღიარებისა და საუბრის საგანი შეიქმნა. მასზე ლექსებს თხზავდნენ, ჟაჟის სასახლეშიც გაისმოდა მისდამი სახოტბოდ მიძღვნილი ლექსები და სიმღერები და ქუჩა-ქუჩა მღეროდნენ. „სააკაძის ნაქმნარი ომი და საქმენი პირველ გმირთაგანცა არ თქმულ არს“ – ამბობს მემატიანე.

დიდმა ვაჟა ფშაველამ ხანგრძლივი ფიქრის, სულიერი გამოცდილების დაგროვებისა და დიდი განსჯის შემდეგ, თავის სწორ და ძირითად მოსაზრებაში, ქართველი ერის ცალკეულ უარყოფით თვისებებთან დაკავშირებით დაწერა გამაფრთხილებელი სამკურნალო ლექსი ქრისტეფორე გასტელოს მიერ შესრულებული გიორგი სააკაძის სურათის მიხედვით:



*

„ო՞ ვერ ვიგუებო, ვერ შევიფერებო,
კარგი შვილები რად გვებადება:
შვილის სიკეთე მშობელს შეშურდეს,
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?
ცრემლები მახრჩობს, ვეღარას ვამბობ,
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენი შვილისა, ჩვენივე ძმისა?
ვეღარას ვიტყვი,
ვთრთი, მეხათრება,
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეპადრება, არ გეპადრება!..“

აქ, ამ ლექსში გენიოსი პოეტის მიერ შთამბეჭ-
დავადაა გადმოცემული სიცხადე, ქართველი ერის
გენეტიკურად, შთამბავლობით თანდაყოლილი უარ-
ყოფითი ოვისება, რომლის გადვივებას, განვითარე-
ბას ხელს უწყობდნენ საქართველოს გარსშემორ-
ტყმული უამრავი მტრები თავიანთი წამქეზებლური
მეთოდებით, რაც ყველა იარაღზე ძლიერი იყო...

და მაინც, საოცარი ქვეყანაა საქართველო, იგი
თანაბარი ფანატიზმით უყვარდათ მუდამ, როგორც
თავის უკეთურ, უღირს შვილთ, ისე დირსეულთ, სა-
ქართველოს მიწა-წყალზე იყვნენ ყველა ისინი ამი-
რანივით მიჯაჭვულნი. ეს სიყვარული ძვირად უჯდე-



ბოდა ჩვენს ქვეყანასა და ხალხს, ამის მაგალითად
დიდი გიორგი სააკაძე კმარა.

ვაჟა ეგრისელის რწმენით, ჩვენს ისტორიაში
მრავალი ბეჭდი კუთხე-კუნჯულია, რომელიც შუქის
მოფენას მოითხოვს. ჩვენ ჩვენს ისტორიას ვერ დავი-
ვიწყებთ. არცერთი ერი არ ივიწყებს თავის ისტორი-
ას. რა მართებულად ბრძანებდა დიდი ილია: ‘ვისაც
ისტორია პქონდა და იგი დაუგიწყნია, აღარც იმის-
თანა ერს აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსე-
ბობისათვის საჭიდაოდ. იმიტომ რომ რაც იყო ის და-
ვიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის არც ის
იცის, არ იცის რაღა გაამაგროს, რისთვის გასწიროს
თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ასეთ ერს
ფეხქვეშ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი თა-
ვის ვინაობის რომელსაც ისტორია შეადუდაბებს
ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან. წარ-
სული მკვიდრი საძირკველია აწმუოსი მომავლისა, ეს
სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ქამი ერის ცხოვ-
რებისა, ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ უმეო-
როდ წარმოუდგენელია და გამოუცნობია. დავიწყება
ისტორიის, თავის წარსულისა და ყოფილის ცხოვრე-
ბის აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის
სულით დარღვევისა და მთლად წაწყმელისაცა“

ვაჟა ეგრისელი ერთ-ერთი ის ქართველი შემოქ-
მედია, რომელსაც აღაფრთოვანებს გიორგი სააკაძის
პიროვნება. მისი მხედრული შემართება და სარდლუ-



რი ნიჭიერება აღორძინების, განადიდებს და უმაღლესი რწმენით აღავხებს მის პოეტურ სულს:

*

„ეჭვი,

ოთხი საუკუნე,

ზარს არისხებს როგორც მნათე,
ვეღარ მოიხადა ვალი?!

გაშ?

ქართლს დამეს რად უნათებს
ელვა —

სააკაძის ხმალის?“

ამ ლექსში პოეტი პოულობს მარჯვე გამომსახულობით საშუალებებს და წერს სწორი საზომით, მსგავსად მიქელანჯელოსი, რომელიც მარმარილოს ლოდებს იყენებდა. ჭეშმარიტება გიორგი სააკაძის შესახებ, როგორც პიროვნებისა და გმირისა, ოვით მაშია მოქცეული პარმონიის მეშვეობით — გვასწავლის პოეტი.

გიორგი სააკაძის ცხოვრების სურათების შექმნა ვაჟა ეგრისლის საკმაოდ უცნაური და საოცარი ოცნებაა. პოეტი მთელი სერიოზულობით, დირსებითა და დრმა გაგებით გვთავაზობს გიორგი სააკაძის გმირობის ეპიზოდებს:



*

„ვუახლოვდებით ობილისს,
კოლხები,
რომ ვხმობთ „ქართად“.
ჯერ კასპია და ხოვლე,
წერს დეკმბერი ზამთარს,
თეთრ პაპირუსზე
თოვლის“.

ეს იდეალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა გაპო-
ეტურება, სულიერი განძიდება, აღორძინება უსაყ-
ვარლესი, უსაზღვროდ ძვირფასი და ახლობელი, გუ-
ლითადი და უკეთილშობილესი ადამიანის მშობლიუ-
რი ადგილების ხედვისა, სევდის ნათელში რომ დან-
თქმულა. საინტერესო ისაა, რომ ამ სურათში „თოვ-
ლის თეთრ პაპირუსზე“ უაღრესად მეტაფორულია
და სიზუსტითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩე-
ვა.

ვაჟა ეგრისელის პოეზია ჩვენი უმშვენიერესი
გმირული წარსულისა და უძველესი მხატვრული გა-
მოცდილების ბედნიერი შერწყმაა, სადაც შემოქმე-
დის ვაჟაცური ენერგია, პოეტისათვის დამახასიათე-
ბელი მგრძნობიარე და ნაზი ბუნება თავისებურად
ვლინდება. პოეტის თამაში თვალი ჭვრებს და ფარ-
დას ხდის შეუმჩნეველ სილამაზეს. სწორედ ბუნები-
სა და ადამიანის სულის სილამაზე შეერთებული



ვაჟაცობასთან არის ვაჟა ეგრისელის შემოქმედების
მთავარი ოქმა.

ისტორიული სინამდვილის, გიორგი სააკაძის
დროინდელი ქართული ყოფის ბეჭედი აჩნია ვაჟა ეგ-
რისელის იმ ლექსებს. რომლებიც მან ლეგენდარულ
გმირს მიუძღვნა და არანაკლებ ნათელია ის განზო-
გადებანი, რომლებიც სათავეს იღებენ ზნეობრივ
ვალდებულებებში ადამიანისა, რომელიც ყოველთვის
წინ უნდა აღუდგეს შურსა და სამშობლოს დალატს
და ყველგან და ყოველთვის ებრძოლოს მას. გიორგი
სააკაძის რთული, ტრაგიკული, წინააღმდეგობით, მო-
ულოდნელი ძრწოლით აღსავს ცხოვრება თავისე-
ბურ გამოძახილს იწვევს პოეტის არსებაში.

პოეტის ლექსები გვიმტკიცებენ იმ ჭეშმარიტ
რწმენას, რომ გიორგი სააკაძე იყო სულიერად გაწო-
ნასწორებული, მრავალწლიანი ლაშქრობებით გატან-
ჯული, ფარული ომებით თუ გარემოებებით ნაკარნა-
ხევი ფერისცვალობით შეჭირვებული პირქუში მხე-
დარი. რომელმაც თავსმოხვეული დიპლომატით,
ცხენზე ამხედრებულმა გაატარა მთელი ცხოვრება
და მახვილი ხელიდან არ გაუგდია.

*

„ოსმალეთი?

არც სპარსეთი!

საქართველო იყო შვება და იარა,



იყო მისთვის ეპალიც და ყვავილიც.

სააკაძემ შარაგზა რომ გაიარა,

მორჩა!

იმ გზას –

სხვა ვერავინ გაივლის“.

პოეტი ლექსის ფერწერულ მხარეს ხშირად საგნის ზუსტად გადმოცემას უქვემდებარებს და მაინც მისი კოლორიტი უაღრესად თვითმყოფადია. პოეტის ეს ლექსი ნახატივით მკაფიოა და ამავე დროს ამ სიტყვებში გამოსჭივის უდიდესი ჭეშმარიტება. რომ „სააკაძის გზას სხვა ვერავინ გაივლის“.

ვაჟა ეგრისელმა შეძლო ისტორიული სინამდვილის მისეული ადქმა, შეძლო სრულიად გამოეკვეთა ისტორიული რეალობა. ერთ-ერთ ლექსში პოეტი გადმოგცემს მეფე თეიმურაზის ერთ „საბრძოლო“ ეპიზოდს. ამ ლექსში პოეტის პესიმისტური განცდებია და მაინც უნდა ითქვას, რომ დიდ ხელოვნებას საფუძვლად უდევს პარმონია, და იგია მომნიჭებელი სულიერი კმაყოფილებისა, წონასწორიბისა, ამიტომაც უნდა ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელი თავის საუკუთესო ლექსებში უდიდესი მოაზროვნეა:

*

„გამთენიისას ბორგვით და შფოთით,

კასპთან შეჩერდა

„თბილისი-ფოთი“.



მიდამო უცებ თეთრად შეიძურა,
და შეესია ფიფქები თოვლის –
ნოსტეს და ხოვლეს
ფიფქები თუ...
მარბეველნი,
კვლავ გამოუგზავნიან მეფე თეიმურაზს“.

მოხმობილ ციტატაში ისტორიული სინამდვილის რეალობა გადმოცემულია შთამბეჭდავად და საოც-რად ორიგინალური და, რომანტიკული ფერებით გამოძერწილი შედარებებით: „ფიფქები თუ მირბეველნი, კვლავ გამოუგზავნიან მეფე თეიმურაზს“. ამ ლექსში ადამიანის მტანჯველი სევდა იკითხება. იკითხება გმირის სატკიფარი, მტერთან შებრძოლებით, საშიში მოვლენებით რომ არის ნასაზრდოები.

აქვე ვფიქრობთ, საჭიროა ერთ გარემოებას გავუსვათ ხაზი, რომ ვაუა ეგრისელის შემოქმედებაში შედარებასა და ეპითეტს მუდამ ასაზრდოებს პოეტის სასწაულებრივი ფანტაზია და საოცარი უნარი წარმოსახვისა:

*

„ხელთ შუბთა ტყე აღუმართავთ,
თავზე მუზარადი ხურავთ, –
ქართველ მხედრებს აბჯრიანებს,



ბაზალეთთან

სააკაძე –

ხმალში იწვევს თეიმურაზს

და...

ქართლს ტანში აჟრიალებს“.

ან კიდევ:

*

„მახვილაწვდილი და ულმობელი,

აღდგნენ დღეები შურისძიებად:

ქართლის არწივი –

ყვავ და ყორნებს გრიგალს გაატანს.

გამძვირვანებულს შევყურებ მხედარს,

და ცრემლნარევი ხმა მომესმის:

შვილო პაატა“.

ვაჟა ეგრისელმა პოეტური გვირგვინი დაადგა
გიორგი სააკაძეს. პოეტისათვის გიორგი სააკაძე ის-
ტორიული მოვლენაა, მისი ერთ-ერთი გაუხსნელი სა-
იდუმლოება. ვინც ამ ლექსებს გადაიკითხავს, დაგვე-
თანხმება, რომ პოეტი უანგარო გულით, საქმის
ცოდნითა და მღელვარებით წერს მასზე და ისტორი-
ულ სინამდვილეზე საერთოდ. ამ აზრით გიორგი სა-
აკაძე ჩვენი ეროვნული გმირის პოეტური აპოლოგიაა.



რამეთუ გიორგი სააკაძის აკვანს, როგორც ბატონი ლევან სანიკიძე ბრძანებს „დედა ისტორიაში“, – ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის აჩრდილები არწევდნენ.

ვინ იცის, რამდენს შერჩა ქვეყნისა თუ ხალხის დაფარული თუ დაუფარავი დალატი. ხოლო სააკაძეს უნებლიერ თუ რამე შეცდა, იმ ცდომილებამ ყველაზე მეტად თვითონ მას და მის სისხლიერ მონაგარს აჭნო. ორი ვაჟპაცი შვილი უყოფმანოდ გასწირა და თვითონაც მთელი წუთისოფელი ჯვარზე ეკიდა სალოცავი საქართველოსათვის...

ვაჟა ეგრისელის სააკაძე ესაა ტიტანური პიროვნება, რომლის ნათელ სახეს საგულისხმო სხივი შეემატა. ლექსი „ველზე მარტყოფის“ სამშობლოსათვის დაცემულ გმირთა ჭეშმარიტ პიმნად იკითხება. ვაჟა ეგრისელი თვალს უსწორებს სააკაძის საქართველოს. მისი ლირიკული გმირი სიკეთესა და სათხოებას თესავს.

*

„მამულისათვის დაცემულები,
მტრებიც –
მშობლიურ მიწას ათბობენ,
რადგან მიჰყვებათ ცეცხლი
სამყოფი...



მოვარე უსინჯავს დაჭრილ მკერდებს
ცაში მნათობებს,
ვით სააკაძე თავის გმირებს
ველზე მარტყოფის“.

განა გმირთა დიდებას და მათ საქმეთა მარადი-
ულობის სულისკვეთებით არაა განსმჯვალული ეს
ლექსი?

პოეტს კარგად უუწყება შაპაბასის ვერაგობაც-
ტკივა ბაზალეთის ცოდვიანი მიწა „1626 წლის გვია-
ნი შემოდგომა, ბაზალეთის ომი. სამგლოვიარო ხანა
ქართული მატიანისა“. ქართველები ჟლეტენ ქართვე-
ლებს. ბაზალეთის ქართველთა სისხლით დარეცხი-
ლი მიწა იარადაა დაჩნეული პოეტის გულში. აქ ხომ
სააკაძის მეომრებთან ერთად ბაზალეთის მიწაში და-
მიწდა დიადი განზრახი „ყოველი საქართველოის“
გაერთიანებისა და აღორძინების“. დიახ, ძმათამკვლე-
ლი ბაზალეთის ომი, უაზრო, სამარცხევინო და უმ-
სგავსო რამე იყო, წყენისა და პატივმოყვარეობის ნა-
ყოფი. თუ აქამომდე მტერს ებრძოდნენ და იმარჯვებ-
დნენ, თუ მარცხებოდნენ, დვთის ნება იყო, ახლა ერ-
თმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შებმოდნენ
დვიძლი ძმები, ქართველს ქართველზე უნდა აღემარ-
თა ხელი. მოძმეთ სამარცხევინო ომი სააკაძის დამარ-
ცხებით დამთავრდა. ბაზალეთთან თითქოს დღესაც
ყრია ქართველობა. ამ უაზრო ხოცვა-ჟლეტის



მსხვერპლთა გვამებს თითქოს დღემდე ყორნები კორ-
ტნიან და მაინც დიდად შემძლე და ყოველთა უმამა-
ცესის სახელი ზავთიანი ხმით ქუხდა სააკაძე ევრო-
პა-აზიის საზღვრებთან. გიორგი სააკაძემ „თავისი
წევთისოფლის მწუხარე და ცეცხლოვან გზაზე, ქედ-
მოუხრელმა და მუხლმაგარმა, ხარიგით ატარა თავი-
სი ხალხის სიყვარული.“

*

„სიკვდილმა მახვილი –
ცხელ გულზე ალესა,
და შემოდგომის დღე
ცივად გათენდა.
ძმავ არ მეგონა – ძმის სისხლს
თუ დალევდი!
მე წყალი მეგონა –
ტბა ბაზალეთის,
თურმე ის სისხლია
ქართველთა“.

ეს ლექსი ფანტაზიითა და აზრის სიღრმითაა
გამორჩეული, რომლის გრაფიკა გვეხმარება წარმო-
სახული შედარების – „ტბა ბაზალეთის სისხლია
ქართველთა“ ვიზუალურ გაცხადებაში. და პოეტი ვა-
ჟა ეგრისელი, ვისაც ბედმა დააკისრა ეროვნული
ენერგიის შესაძლებლობები გაეცხადებინა, მემკვიდ-



რეა საუკუნეებში გამოტარებული ქართული სულისა. მეხოტეა ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა, როგორც და-საბუთება თავისი ხალხის სულიერი და გონებრივი შესაძლებლობებისა. მისი გიორგი სააკაძე დიდების შარავანდედით მოსილი, გამარჯვებული გმირია, რომლის რაშის ჭიხვინი ქართველ ერს მარადისობისაკენ უხმობს:

*

„როს აჩრდილი გაიელვებს
ველზე —
დიდი მოურავის,
მარტყოფი და ტაშისკარი —
მის წინაშე ქედს კვლავ იხრის.
და...
დილამდე უსმენს მტკვარი,
სააკაძის რაშის ჭიხვინს“.

მტრისთვის სააკაძის მუდამ ალესილი ხმალი, შამხალისა და დადეხტინის ფერდალებსაც მისწვდა, ისინი შაპს მზაკვრული გეგმის განხორციელებაში მხარში ედგნენ.

გიორგი სააკაძეს ყიზილბაშნი საკუთარ ჩრდილებად მიწაზე ჰყავდა გართხმული. „ქართლში მოლას ხმა არ ისმის, და კახეთში არ ჩანს ელი, საქართველოს დგას ცისკარი, ლომბგულ სააკაძეს



ელის მარტყოფი და ტაშისკარი“, გიორგი სააკაძემ შაპ-აბასის ვერაგული გეგმები მიმართული ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ხერხემალში გადაამსხვრია და პოეტი შეძრულია ლომგული სააკაძის ბობოქარი ცხოვრებით, რომელსაც ჭეშმარიტების ძიება უქცევია მარადიულ მიზნად. პოეტი თავადაა შეძრული მშფოთვარე ემოციებით, რომელთაც წარმოქმნის არა მდუღარე სისხლი, არამედ ბადებს ბობოქარი გონის ნაპერწკლები, მოაზროვნე პოეტური აზრების ჭიდოლი. მესამე თვალით უნდა აღიქვა, რას ძერწავს პოეტი. უფრო მზერის სინატიფე და აღქმის დიდი უნარია საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული კოლორიტული სურათი:

*

„ოსმალო არა! და არც სპარსელი!
მას მოსაკლავად ქართველი მოსდევს!!!
ელვის უსწრაფეს მიჰქრის იაბო
და საუკუნის წყვდიადს მიაპობს –
სააკაძე და ბედკრული ნოსტე.“

ვაჟა ეგრისელის მხატვრულ პალიტრაში შემოგვანათებს ბიბლიური სიბრძნე და სიდიადე, რომ სავსებით ბუნებრივი მეჩვენება პოეტური ამაღლებულობა და უჩვეულობა და ყურებში მიწივის პოეტის ხმა, აღსავსე დიადი რწმენით:



*

„შენს დროშისფერს,
შენს სიმაღლეს,
ვითარც გახტანგ, ვითარც ცოტნე,
შეეწირა სხვა ათასი,
ქართლის ცაზე რომ ჰკიდია,
მზე კი არა,
თავი გახლავთ პაატასი!“

ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ფაშსტური

ავს და კეთილს ერთურთისგან,
ქვეყნად ვერვინ დააცილებს,
რადგან ყოფნა –
დაუსრული,
ამირანის და მაცილის –
ბრძოლა არის “ფაუსტური”.

1964

0128 დედამოგა

რომაელთა დგას შუბთა ტყე,
უსახური სუფევს ბორჯი,
წუხს ტეხურთან დედამოკა,
ჭვრეტს დამიდან

ციხე-გოჯი:
კოლხური მზის სხივთა როკვას.

1989



მუზების ტაძარი

შავი ზღვა დელავს და
მძინარე ფაზისთან,
ხმა მესმა ბრძენ ევგენიოსის,
წარსულის ცოდნას
რომ მაძალებს:
დარჩენილ დღეებს და სიცოცხლეს
მიასებს,
კოლხეთი –
“მუზების ტაძარი”.

1966



თავს ბგაწონებს მს პუნება

ქალწულივით შიშველ მკლავზე,

ალუბალი –

პვირტს აიცრის,

და ჩვენ არას გვეუბნება.

თავს გვაწონებს ეს ბუნება:

სამოსს –

როგორ ხშირად იცვლის.

1981



სიეტიცხოველი აღარ ახსენო

თუთარჩელათი და “ფსალმუნებით” –
გოლხეთის დუმილს
ტაბუ ახსენი –
ჩურჩულებს ხორგა...
კივის დარჩელი:
სვეტიცხოველი აღარ ახსენო,
თორემ მარჯვენას
არ შეგარჩენენ!!!

1995



ქვეყანა პოლს-იბერთა

ითვლის ათასწლეულებს,
მითებიდან მოსული
ქვეყანა –
პოლს-იბერთა,
თუმც ბევრი ჰყავს მოშურნე,
მაინც არ დამიბერდა.

1963



როგორც მხავთა მოძღვარს

უმზერს ყოფნას და არყოფნას,
ვითარც შავითმოსილ
ორ ზღვას,
ვით იდუმალ ორ დიდ ყურეს!
და ღელვა შენ შემოგეურებს,
როგორც მენავეთა მოძღვარს.

1963



დამის იქიდან მოსული
ლამაზი დილის საარი
მესმის ხმად —
ვარსკვლავთ მუდარის.
რადგან სამშობლოს ცა არი —
ჩემი ნავი და
ნავთსაყუდარი.

1967



რაა სიცოცხლე

შენ მეტითხები:

რაა სიცოცხლე,

თუ არა ტანჯვა დმერთკაც იობის?!

გპასუხობ:

არსთა წამით ხსენება,

– სიკვდილი?

– არა?

კაცობრიობის,

მცირე სოფლიდან –

დიდ სოფელში გადასვენება.

1966



პარნასისპმნ მიმავალს

გადაჟყურებს სივრცეებს –
 თავი რომ მოაწონოს,
 არსო გამრიგემ ბედი კი,
 სადღაც ბნელში მიმალა,
 მაგრამ ის არ აშორებს
 თვალს,
 გზას უსწორ-მასწოროს –
 პარნასისკენ მიმავალს.

1962



ხან თეთრი მოსავთ და
ხან შავები –
ღრუბლებს და ელვით ცას აწივლებენ
და მთებს და ღრუებს
თავს აფარებენ,
ვერრა გავიგე მე ამ წვიმების,
ვერცა ღრუბლების
და ვერც ქარების.

1987



გედეონის საჭმისი


უცებ მიწყდა ნაპირთან –
ზვირთოა აყალ-მაყალი,
ზღვას სხივები აწვიმს მზის,
და კრთის –
მოსეს “მაყვალი”,
გედეონის “საწმისი”.

1967



ცხოვრების დიად აზრით დატვირთულ
დიდ მატარებლებს
დაატარებენ
/ადრე კი არა, გვიან ნაგები/.
შენი ლექსების ლაშქარ სტრიქონთა,
ფოლადის,
მაგრამ დამტვრეული ლიანდაგები.

2000



შენი ხსოვნა

მოჩახჩახე ცა პგავს ქალაქს
და მთვარეა,
ვით არბატი,
ღრო მიწაზე მიჰქრის განა?
შენი ხსოვნა —
აქ ნიადაგ დაფარფატებს,
ნისლი მოსავს სიფრიფანა.

1976



დგას აღმართული

იცის,
იმ ერთმა არსთავამრიგემ,
თუ სად იწყება ქორონიკონი,
ჩემი კოლხურის,
ჩემი ქართულის,
და ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, —
მეტაფორების მაღალ სვეტზე
დგას აღმართული.

1995



მარადისობის ცისფერ ნაპირთან –
 წამით გვაბრუნებს
 უამთა მორევი,
 მერე მზის შვილნი, ასე კარგები.
 ცის ტოტებს ვწყდებით
 მეტეორივით,
 ვეცემით მიწას და ვიკარგებით.

1990



078ს რეპრა ფარებრძე

სადღაც,
დამის ტაძარში –
იწყეს რეკვა ზარებმა,
ვუმზერ ნაცნობ ალაგებს,
და “იქ” გასამგ ზავრებლად,
ბარგ-ბარხანას
ვალაგებ.

2004



პონტოს ზვირთნი იხსენებენ,
წუხილით და
დიდ ოხვრით:
სალმანასარ-ასურთ მეფემ,
ვით დალაშქრა დიაოხი
და მიიღო —
“ძღვნად ცხენები”.

1997



რადგან ამქვეყნად სიცოცხლედ მოხველ –
თეთრ აფრიანი

მთოვარის ნავით,
უნდა ნიადაგ, სიკეთეს თესდე,
გჯეროდეს, ყოვლის
წარმხოცი ჟამი
ვერრას დააკლებს შენს ციცქნა ლექსებს.

2001



გელოდები იმ წუთებს,
კართან მდგარი მიმწუხრის,
წლებით გადანარიყი,
როცა მოვა არყოფნა
და ვით შეყვარებული –
თვალს რომ თვალში
გამიყრის.

2004



გაინახები

ისტორიის ბილიკებზე –
არვინ უწყის, თუ რამდენი,
უი! ნახეს,
გაი! ნახეს,
ჰეითხეთ კოლხთა ჩამომავლებს:
/ძურძუკ-ღლიღვებსა და მალხებს/
პონტოს ზღვიდან გადმორეკილ –
ძველ კოლხურ ტომს –
გაინახებს.

2003



გამოქვებისას ვარსკვლავები
 სადღაც წასულან,
 ჩანს მოვარე –
 დამის დანატოვარი
 და სხვა არავინ,
 ტალღები ჩუმად მიმოდიან,
 ვითა მსტოვარნი
 და შიშველ ნაპირს –
 დუმილს პარავენ.

1985



დილექტი

სხვა ხეებზე უფრო ადრე,
რად ეცემა
მუხას მეხი?!
ეს კი მრავალ კითხვას ბადებს,
შიშს რატომ გვრის გზას
ხმა მეხრის,
ან წყალს მეთევზეთა ბადე?!

1993



პეტ

მტერს და დუშმანს ებრძოდა
და არავის მონებდა,
უფლის ნებით ნაკემსი,
თვალს გვჭრის –
ოქროს მონეტა
კოლხთა მეფე –
აკესი.

1994



ხედავთ

რადგანაც ვიშვით...
და დედების ვართ დანაბადი,
სხვა გზა არ არის...
ლოცვით და შიშით,
უნდა ავიკრათ გუდა-ნაბადი,
რა ვქნათ!
ცხოვრება თუ არ გვეთმობა,
ჩვენი სიცოცხლით,
ჩვენი სიკვდილით,
ხედავთ? ბუნება როგორ ერთობა.

1979



საშეფეროს მუზიკა

გადაუქროლებს მეტეორი უსასრულობას
და გაანათებს ჩაბნელებულ

ათასწლეულებს,

რომელიც მეფეს ყრმასთან ამონებს,

ცაში ვარსკვლავთა —

დიდი ბუმია.*

და დგას ღრუბელი —

პირამიდა ტუტანხამონის,

გამხმარი მთვარე —

საშეფსუტის არის მუმია.

1964

* ბუმი — (ინგლ.) აურზაური.



მგალობელი ცაცხვი

გადაჯდაბნის ცას მშიშარა ელვა,
ტყეს შეაკრთობს –
შეკივლება ტურის,
ვიღაც უხმობს: ვო, თეონა,
თეუ!
მწუხარი დგება: ვუსმენ გულისყურით,
შაშვს კი არა,
ცაცხვს, გალობად ქცეულს.

1987



პამათლები

სადღაც გარბიან,
ყალყზე დგებიან,
ვითა ქვიცები გაუხედნავი,
აქ – შაში მიმზერს
და იქ – იაქე,
მაგრამ თვალები ვეღარ ხედავენ,
გაბრუებულნი ჟინის
თრიაქით.

1961



არასის ქადაგება სპარტაში

შორს ჩანს კოლხთა ასპარეზი,
დიდ ღელვის ზღვა
და ყურე,
სპარტაში რომ დგას არესი,
ისიც თურმე კოლხეთიდან –
წაუღიათ დიოსკურებს.

1966



ვიცით, რომ ცხოვრება,
მატარებელია –
ჩქაროსნული,
ბოლომდე მიიყვანს გზა იღბლიანს,
წლები – ფოლადია ჩამოსხმული,
სიცოცხლე –
სიკვდილის ყალიბია.

1961



ობლად დარჩენილ წიწილებივით,
ვართ უმწეონი და
შესაბრალი,
რაც მოგვცა ღმერთმა,
ისიც, უცებ წაგვართვას ლამის,
როგორც იზრდება,
უმოკლდება მოზარდს შარვალი,
ისე,
დღითიდღე გვიმოკლდება
აქ ყოფნის ჟამი.

2001



არის დიდი სამეფო

აშ არ შეცვლის სამისნო,
არც შატილის, არც დელფოს,
და დღეს მიწა იბერის,
არის დიდი სამეფო –
სიკვდილის და სიბერის.

1993



ხობის და პალიასტომის ღვთისმშობელს

„XX საუკუნის 20-30 წლებში
საქართველოში 2000-ე
მეტი ტაძარი იქნა განადგურებული“.
გაზეთებიდან


ვით მურვან-ყრუმ,
ზოგმა ვაი ქართველმა,
ცის ტაძარში აუქნია ღმერთს ხელი,
ქუხეს და ელავს... უფლის
რისხვას შიშობენ.
შენდობას სოხოვს ფოთელი
და კერძელი,
ხობისა და პალიასტომის ღვთისმშობელს.

1998

სიტურვის ნერგი

ჩემი სიცოცხლის მწვანე მინდორი –
 გადაიქროლეს მზის ჭიხვინით
 დღეთა კვიცებმა,
 მათი ფლოქვების ოქროს მტვერი –
 მე საგზლად მერგო,
 და კვლავ მადარდებს, ეს პატია
 სიტურვის ნერგი,
 სიყვარულის ხედ, ნეტავ როდის
 გადაიქცევა.

1994



ზილეამონ და გაგიძე

ერთმანეთში სიყვარულს –
მინდა ვთესდეთ და
ვტკიდეთ,
ისე, როგორც მითებში –
ფილემონ და ბავკიდემ,
ერთგულება ერთურთის –
ცაზე დროშად გაკიდეს.

1968



ორგორც გალილეველი

ვითარც ჩვენი წინაპრები,
კვლავ ამაყად დგანან მოქბი,
ცისქვეშ დამის მათეველი,
შენ კი სიტყვით –
კურნავ სნებას,
ორგორც გალილეველი.

1986



გარ პედიორი

სიმყუდროვეს ხეს,
გარსკვლავები,
რომ არ გაკრიფონ,
კვლავ ფხიზლობს მთვარე,
დამის ებგური,
წუხს სიყვარული, მზეზე ხნიერი,
მიწაზე არა, ცაში მეგულვი,
შენ სიშორის სიახლოვით
გარ ბედნიერი.

1961



თვალს ჩაუკრავს მიწას ელვა
 და როცა ცა ჩაახველებს,
 მაშინ ქარი იღლიაში –
 მძინარე ზღვას უყოფს ხელებს,
 და მრთოლვარე ზვირთთა ჯიქნებს,
 მუჭვი იმწყვდებს და ახელებს.

1960



ვასიანე

ზღაპრულ ფაზის ქალაქთან –
ბებერ ჟამს ვეომები,
წლები – ათასეული,
კვლავ ძალუმად ფეთქავენ.
და გჭერებ: წვანან ლომები,
ცერხოით –
მზით შემოსილი,
ფასიანე ღმერთქალის.

1968



სათაფლიასთან

ასი ათასწლეული –
თითქოს ერთურთს მიასკდა,
ზანზარს ვისმენ მიწის,
და მე სათაფლიასთან –
მილიარდი წლის წინ –
გხედავ ბოლო დინოზავრს,
როგორ მოწყდა ყინწი.

1970



ბაზევენავი კვიცები

შიშს ჭიხვინებენ ქარები –
გაუხედნავი კვიცები.
და როგორც სოფლის ბალდები,
ცის ოქროს ჭიშკარს აღებენ –
მთიები გაფაციცებით.

1968



დამა ჭშაგში

პირქუშად დამდგარ სალკლდიდან,
 ისმის კვნესა და ხროტინი.
 მთვარის შუქზე ჩანს ფერდობი –
 სუფთად თავგადახოტრილი.
 ცის ფუღუროდან გარსკვლავი,
 თვალს აბრიალებს ჭოტივით.
 დამეს ცა ხელში უჭირავს –
 მცინარე ატმის ტოტივით.
 გზად, ვიღაც მგზავრი იმდერის,
 წვეთავს ფშაური მოტივი.
 და მეც მცხეთამდე არაგვი
 მომდევს, მომძახის,
 მომტირის.

1961

ხევათ

ხევბი მიჭედილია მიწას –
ფესვების ლურსმნებით
და ყველაფერი ეყურებათ.
ხევბი ყველაფერს უსმენენ –
ფოთლების –
დაცქვეტილი ყურებით.

1958



ეჰ, საუკუნე თითქმის გავიდა,
 მოგონებები
 რომ კვლავ გვზაფრავენ.
 მაინც კარგი ვართ! –
 რომ წიწამურთან –
 იღიას მოკვლის
 დიდი სირცხვილი,
 გერაფრით რომ გერ დაგასაფლავეთ.

1964



მგოსანი

რაც გამჩენმა დაანათლა მგოსანს,
არაფერზე არ ამბობდა უარს.

იყო ლოთიც,
უხეშიც და პიწკიც.
ხან ღმერთს ჰგავდა, ხანაც იაგუარს.
შვილი იყო ცის კი არა, მიწის.
სიკვდილს მაინც ვედარ შეეგუა,
მიტომ კარი მიუხურა ცხვირწინ.

1992



ჩემი წარმოსახვების ციხე-კოშკში

ნახავენ:

ყამარსა და ამირანს,

დევებს,

მზეთუნახავებს.

ზღაპრიდან და ლეგენდიდან –

მოსულებს და წვეულებს:

ცამცუმს, ბადრის, უსუპის

და მათ ათასწლეულებს.

აუსრულდათ ყოველი, თუ ვინ რამე

ინატრა,

ჩემი წარმოსახვების –

ციხე-კოშკთა ბინადარო.

1959

ვეღარ აჩერებს ქამთა დინებას,
თუმც მოწყვალების
ლამაზ დასავით,
თავს დასტრიალებს კაცის გენია.
მაინც დღეები, სადღაც დასავლით,
დამეტად კვლავ მიიქცევიან.

1969



სიყვარულო

სიყვარულო! –
 სანატრელო,
 დღესაც შენოვის მიდის ომი
 /მოკვდაგთ ადრეც გვიომია/.
 მოწმე არის აპოლონი,
 პექტორი და
 ქიონია.

1959



პუნება

ვერ ეკარება სათოფედ –
ავითვალი და
ავსული;
დედა სათავე იგია –
მომავლისა და წარსულის.
ბუნება დიდი წიგნია, –
მზის ოქროს ყდაში ჩასმული.

1964



განია არძიაოვი

სამმაგი ჯაჭვით,
 ორნახადი ჭაჭის არაყი, —
 ხან დვინო იყო მისთვის,
 ხან წყალი!
 მოლექსე,
 ლოთი, ის არქიპოვი,
 აქ არ ეღირსა შვებას საწყალი,
 ნეტავ ვიცოდგა,
 იქ თუ იპოვის.

1982



ხმა იღვმალი

იდუმალი ხმის –

გადმოჩქეფს ჩანჩქერი:

– ადექი!


გევო, ძმაო, ძილი.

აწ კერაფერი შეგაჩერებს,

მარადისობის ხარზე ამხედრებულს –

ლაო-ძივით.

1997



პავპასიონი

კაცობრიობის სიყვარულის –
კლდეს მიჯაჭვული
გმირის მოდგმა ვარ,
და მიხარია,
ზეცას მკერდი რომ შეუნგრია:
კავკასიონი –
დედა-მიწის ოქროს ფარია,
მყინვარწვერი კი –
ვერცხლის შუბია.

1988



ALCATRU

რადგან მოვედიოთ,
ჩვენს აქ ყოფნას
უამი ცბიერი,
დღისა და ღამის უსვამს შალაშინს.
ჩვენი სიცოცხლე –
ნახევარზე მეტი ძილია.
და როცა ვკვდებიოთ,
მაშინ ვიღვიძებთ,
სულ სხვა მხარეში,
სხვა ქვეყანაში.

2001



ԱՏՐԴՅԱՑՈՒՅԹ

ხარ მნათობთა მეუფე
/აღარაფერს ვამეტებ/.
უსამანო სივრცეში გიდგას —
მთვარის ლოგინი.
იქიდან ჭვრებ პლანეტებს,
უცხო ასტროლოგივით.

2004



მარადიული, ვითარც ნათელი,
იმათი სული –
ელვად უგლის ცას,
რომელთ გაუწერა ადრე გამჩენი.
თითქოს ისინი გაზაფხულისას
იების სახით –
ყინვით დამზრალი
თითებს აჩენენ.

1991



ՅՈՒՆԵԱԹԵԼՆ

Յարսկալազեծութան წայտաց մորոնի,
Տցելուշեռազելութան –

Յաձ յա՛ժյա՛ժա:

Ժտա՞յց չշարո դըաս,
Օելուս հանս մշետա.
Ու... ամորանմա շոյալս ցյուելո
Ռոջոր წարսբացա,
Կունատյելա ամեաց քյացիա
Խա՞յցե՞լ-խա՞յցե՞լալ.

1962



ბჰაბაგად გიტა

ვით დღე, დამიდან,
სიკვდილიდან –
სიცოცხლე მოდის –
სხვა სილურჯეთი.

და მე, როგორც პოეტი
/სისხლის ყველა უჯრედით/
მკვდრად ქმნილ ყოფნას ყოველთვის, –
არ ყოფნიდან გუჭვრებდი.

2002



ნილოსი და ფაზისი

ავდარი თუ დარია,
დამით მნათთა დაწერილს,
დღე –
ბეჭედი აზის მზის:
რომ ღვიძლები არიან
ნილოსი და ფაზისი.

1966



სიცოცხლე

გულხელდაკრეფილ მთვარის არფიდან –
სხივი,

წიტივით უცებ აფრინდა,
რომელსაც სულ სხვა,
უცხო ფერი აქვს
და ლამაზია, როგორც ფერია,
სიცოცხლე მაინც არაფერია,
რადგანაც იშვა ის არაფრიდან.

1984



00ლან და მნემლილან

მამლის ფრთებით შემოხაზულ
ეზო-კარში,
როს დაიწყო გლეხმა თესვა,
ესიამოგნა მენძელს დიდად:
გაზაფხულის ხმა რომ ესმა,
იიდან და ენძელიდან.

1969



გამოჩნდა მტრედი,
და ამინდები,
შევბ ზღვიდან თუ
ციდან მოფრინდა.
და ათასეულ წელთა იქიდან
ვჭვრებ:
სულ პატარა,
და სულ დიდები,
ქალაქები რომ მოდის სოფლიდან.

1962



გილარი ყიზჩაღი

მუხრანის ბოლოს,
ვითარც ყივჩაღი,
შემომეურება არყოფნა ბეცი.
იქნება ცრემლი,
დარდი და გლოვა,
მაგრამ მე ვიცი,
ქართული ზეცით,
„ჩემდა უმჯობეს,
შემდგომად მოვალეს“.

2001



სიმღერის ტოტზე იჯდა შაშვილით
და ცას ვარსკვლავებს
წყვეტდა გალობით,
უამთა გრიგალმა ვერ წააქცია.
ჭაბუქს სიცოცხლე –
მუდამ წყალობდა,
მოხუცს სიგვდილმა ზურგი აქცია.

2004



შავი

პატარძალივით მორცხვი და ჩუმი
და მოქათქათე,
ვითარცა აფრა,
მოულოდნელად პატარა ქაფი,
ნიავის ნავით მოადგა ნაპირს,
ერთი შემხედა და!
უცებ გაქრა.

1958



იბობოქრეს და ბოლოს ქარებმა,
ზვირთთა ყანწებით

ზეცა დალიეს –
სანამდე ელგა სივრცეს გაჭრიდა.
და მერე მწუხრმა ლურჯ დასალიერს
ბაღლინჯოსავით მზე მიაჭყლიტა
და ვარსკვლავებით ცა დააბრმავა.

1960



არმაზ და ზადენ

მცხეთის კარს –

უით და ვაით,

და შიშით ვზარდე,

ვით რწმენა მოგვთა და მნათეთა:

გაციმ და გაიმ,

არმაზ და ზადენ –

წარმართი ღმერთები ქართველთა.


1963



კოლეგია იყო სამოთხე

ადამმა ევა აქ დაბადა
თავის ნებიდან
და კოლხეთი იყო სამოთხე,
რომლის არპოვნის მდაგავს ლადარი.
„იას“ და „აიას“, ვითარც ტროას
მაინც „ამოვთხერი“,
კოლხი წინაპრის –
მტვრით დაფარულ კვალში ჩამდგარი.

1961



დასავლით მიჰქრის შავი ღრუბელი,
 რომელსაც თვალში უნთია ქლვა,
 და მიჭიხვინებს, ვითარცა კვიცი.
 ქარის ხმა ისმის,
 ორივე ვდელავთ,
 თუ რატომ ვდელავთ, მე და ზღვაშ
 ვიცით.

1961



მისთვის დღე იყო, —
დამის წყვდიადი,
უშიში იყო, ვითარც უხორცო.
ცად დაფრინავდა ფრთების გარეშე.
როგორც პოეტი, იყო ფხიანი,
აი, ამიტომ, ვით მდინარეში,
პოეზიაში გადაეშვა თავფეხიად.

1962



დღისა და დამის მდვრიე სამანთან,
 ცეცხლმოდებული მზე მოჩანს
 ნაღმად.

ქარი, ქარიშხლის ტყუპისცალია.
 ეს მე ვარ, ჩემო,
 ის ლურჯი ტალღა,
 რომელიც სალ კლდეს მიენარცხა და
 იქვე მწყერივით სული დალია.

1995



გაჩენის დღიდან ცას შევციცინებ,
ბედის ვარსკვლავი ქრება,
ციმციმებს.
თუმცა ღრუბლები ფარავს უხეში.
მიწა მძიმეა,
ვერ ავიტან მიწის სიმძიმეს,
მსურს ყოფნა
მთვარის სიმსუბუქეში.


2002



სიყვარულის მთევანი

ლოცვის ბილიკს მივყვები,
მარად მისი ერთგული,
ირგვლივ არის ქაოსი,
გზა არის უტევანი.
და სადღაც იქ მეგულვის –
სიყვარულის მტევანი.

1963



ბეიჭას თვალებში

ჩვენ ერთად ვიყოთ,
როგორც ყოველთვის,
ხელიდან ადარ გამომეცალო,
ერთურთის ნახვის მონატრება
გვიდგას თვალებში.
და როცა წავალთ, ჩემო,
მხარი რომ არ გვეცვალოს,
ჩავიდოთ ხელი ჩვენ ერთმანეთს
იქ – სხვა მხარეში.

2004



მარილზე მიხვალ აღზევას

დავითისა და მეფე თამარის
 მიერ,
 ათასჯერ ხელ-ფეხ შეკრული
 სატანა,
 ნეტავ ვინ აღაზევა?
 სამშობლოვ ჩემო!
 მართლაც ბედკრულო!
 ნუთუ მარილზე მიხვალ აღზევანს?!

1993



080

ყოფნის გადაღმა იქ –
არყოფნაში,
არავინ იცის, რა ამინდია.
და კაცთაგანი ამას არც არკვევს.
სიკვდილის გზაზე –
მოხუცები ერთად მიდიან,
სიცოცხლეებად რომ დაბრუნდნენ
უპან ცალ-ცალქე.


1991



თმება და ლამება

როგორც უფალს ენება,
 მაცხოვარს ეამება,
 ისე ერთურთს მისდევენ –
 ცის და მიწის მშვენებად:
 თენება და ღამება,
 ღამება და თენება.

1988



მზე ბავშვივით იმაღება,
თოვლ-ჭყაპი კი
წარსულ უამთა,
ქარებს მიაქვთ მუჭით რა.
მარტის კართან –
დამდგარ ზამთარს,
სული კბილით უჭირავს.

2003



არაქაური უბერავს ქარი...

ცა – სამჭედლოა,

ელვა – გრდემლია.

ბოლავს და ბოლავს ღრუბელი მწარე,

ღმერთს ეწვის თვალი.

მზე –

დღის ცრემლია,

და დამის – მთვარე.

1958



ზეთური და ზათური

შვიდი ათასწლეულის იქით
მოჩანს უფსკრული,
საიდანაც ხმა ისმის –
ხეთური და ხათური,
იელვებს ეტრუსკული.
მე კი კოლხურს დავეძებ, –
ბნელში ხელისფათურით.

1958



ვასიანეს ქანდაკება

„ვაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ
აღმართულია ვასიანეს ქანდაკება“.
არიანე¹

ვაზისში მდგარ ვასიანეს²,
ანგელოზნი დანატრიან...
სხვათა კარი,
თუმც მოვხურე,
მაინც ისმის ტკბილ-კოლხური:
დია, — დედა,
ნანა-დია!

¹ არიანე — რომაელი მწერალი (II საუკუნე)

² ვასიანე — ვაზისხელი ღმერთქალი



სულო! –

ცად ამაღლებულო,
აბა, ჩემს უპეთ ვინ იცის,
რომ გტანჯავს ყოფნა – ტიალი.
გარეთ ედემი გიყვავის,
შიგ ჯოჯოხეთი ტრიალებს.

1993



პერანებმა და კელტებმაც

ხუთიათასწლეულის მიღმა,
 სამხრეთ ევროპის
 და იქ მცირე აზიას,
 კოლხები რომ სახლობდნენ –
 წარწერები ქვაზეა.
 ცაც და მიწაც წარგვტაცეს –
 ბერძნებმაც და კელტებმაც,
 ჩვენი კვალიც დაფარეს –
 დავიწყების ბელტებით.
 პირინეის კუნძულზე,
 რა ქნან ჩვენმა ბასკებმა?!
 მიტომაა, გული რომ
 არჯალ წარსულს ასკდება.

1966

მაწვალებს ზეცის უსასრულობა
და მთვარის სიზმრებს
ვერ ვიცილებ.
მტრობას და სიძულვილს მაბრალებს –
დამ-ღამით,
ვარსკვლავთა სიცილი,
ყოფნა და არყოფნის ნაპრალი.

1986



ცხენისწყალთან

შუბის ტარზე დგას მნათობი
და თიბათვეს დაუბერტყავს
ცხელი კალთა.

ცელი გდია,
დარჭობილი ჩანს მერული
და მდინარე ცხენისწყალთან –
მიდის,
მოდის, სიმღერები იმერული.

1980



დასაბამიდან მოდგმას ადამის,
ზეგარდმო ძალა
იცავს მთებური.
მზე დაჩახხახებს სიცოცხლის ყანას,
ვთქვათ, იძრა მიწა,
გაედვიძათ მიცვალებულებს
და რომ წამოდგნენ,
დედამიწა ეყოფათ განა.

1979



პეგასიც და პულვეზალიც

როგორც იქნა დავიურგე
 და ფლოქვებზე –
 სულ სხვა ფერის,
 დაგაჭედე უკვე ნალი,
 და მზადა მყავს
 გასაფრენად,
 პეგასიც და ბულვეზალიც.

1957



ვითარც შეეძლოთ,
წუთისოფლის
წიქს ჭაპანი
და დამაშვრალნი, აწ იჩრდილებენ –
არდავიწყების –
ცაცხვსა თუ ბჟოლოს,
და გარდაცვლილი მამა-პაპანი,
ჩემი ლექსების ქოხმახებში
ცხოვრობენ მხოლოდ.

1999



რიპო, ლილე, შაბაშ-რერა

კოლხური ცის დიდ დარბაზში,
გარსკვლავებით გაჩაღებულს –
მთვარე უზის დამის კერას.
და დილამდე უთვალთვალებს:
რიპო¹, ლილე,²
შაბაშ-რერა.³

1962

¹ რიპო – სინათლის ღვთაება (სვან)

² ლილე – სინათლის ღვთაება (სვან)

³ შაბაშ – მზე (სვან) შაბაშ – დღის სინათლე (აქად)



ის ყველგან არის!

ჭექა-ჭეხილით,

ცაში წესრიგი რომ დაამყაროს

/ღრუბლის ფაფრიან – ელვის რაშებს,

ის სულ ხედნიდა.

შენ კი პირველქმნილს –

ხედავ სამყაროს –

გადმოწერილს თუ გადმოღებულს

უფლის დედნიდან.

1994



გერხევი, ოლე

„კლდებზე ვდგავარ თეთრი ვერხვი“.
ალიო მირცხულავა
შენ ლიახვის კლდებზე დგახარ“.
გიორგი ლეონიძე

პოეზიის სალ კლდებზე დგას:
კოლხეთს – „ვერხვი“,
კახეთს – „ოლე“,
და დრო-უამიც აშარია,
მაგრამ ღმერთი არ გამოლევს,
ჩემს მამულში –
მაფშალიებს.

1987



დღის ბოლოს კი არსოგამრიგე
და ლანდები სხივოსანთა
ქართული ცის სიანკარეს,
მხოლოდ სულებს დგოისმოსავთა –
სხვას,
არავის მიაკარებს.

1998



ახალი მთვარე

მოგონებიდან თუ წარსულიდან –
 ჩუმი სიმღერა
 ისმის მეხრეთა,
 სოფლის შუკებში ახლა ბინდდება
 და ახალ მთვარეს
 როცა შეხედავ,
 პვლავ წარმართივით მუხლებზე მდგარს
 ლოცვა გინდება.

1961



ბადში მდგარ ციცქნა ალუჩებს,

ყინვები ფრჩხილებს აძრობენ,

ხოლო მზე —

განთიადამდე,

მწუხრის კერასთან მიმოყრილ —

ვარსკვლავთა უსმენს გალობას.

1975



ଓମେତିଶ୍ରୀ

କୁଳାରା ତମେବୁ ଗାମନ୍ଦୁଖ୍ଯେନ୍ଦ୍ରିୟରେ –
 ବନ୍ଦେଲୁଷି ରାମଦଙ୍ଗାର ଅକାତ୍ମିବୁବୁ,
 ସେବତା ପରିବର୍ତ୍ତନା ପାମେତ୍ତୁରି*;
 ପାନଶି ଶୁଣେବ ଗାମନ୍ଦୁଖ୍ଯେନ୍ଦ୍ରିୟରେ –
 ଶେକିଗଲୁଏବା ଲାମେବୁ, ପାନଶି.

1957

* – ପାମେତ୍ତୁରି – ବାଦରି ମତଗାର୍ଜ



მდგარი პონტოს ზღვის სანაპიროზე,
ვით ხე სიცოცხლის –
მზით დახუნძლული,
ხელს კუქჩევ შორეულ –
მახლობლებს.
ჟამთა ზღვის მიღმა მოჩანს
ხსოვნის თეთრი კუნძული, –
სადაც ჩემი წინაპრები სახლობენ.

1961



მახილი

ქართველებს ჩასძინებიათ!!!
რა გქნა,
რომ გედარ ვაღვიძებ,
ვით დიდგორს შევკრათ კამარა.
და უამს, ვითარცა თამარის,
ხელი
კვლავ ვიკრათ მახვილზე.

1991



რომ ვედარ იცნონ,
სახეს უმშვენებს,
დღისით – მზის,
ღამით – მთვარის სათვალე,
და არის ყოვლის დამამხობელი.
წამით არ გვტოვებს
და გვითვალთვალებს –
დაუძინარი ჩვენი მტერი
და ახლობელი.

2000



გერ ღაგუჩსნები

ოთხფენად ფარავს მტკერი –
 ოთხი ათასწლეულის,
 უფლის სავანებს,
 ქვეყნის სამოთხეს.
 ხმა მესმის სანის, ჭანის, მესხების.
 სანამ, ვით ტროას,
 მე „აია“-ს ადარ ამოვთხრი,
 რა ვქნა,
 კოლხეთის ისტორიას
 ვერ დავეხსნები.

1963



ცის ქუჩაში ქარი პვლავ ყრის –
ღრუბლის ნახშირს
დამკლავებით.
სადღაც დამე მზის ცხელ გრდემლზე
მახვილივით დილას პვერავს.
ტიტლიკანა ვარსკვლავები –
მისხდომიან მთვარის კერას.

1978



გიგლიოდან

ცის ქვეშეთში ძე ადამის,
ვინც განაგდებს უფლის რწმენას,
გმირსაც ელის –
ბოლო მონის.
ხმები ისმის ბიბლიიდან –
დავითის და სოლომონის.

1967



დიდ თუშებობა – 1080

შესევია ჭილ-ყვავები,
არც მიწა ჩანს,
არც ცა ლურჯი.
ქართლს და კახეთს მოსავს გლოვა.
კლარჯეთიც და არტანუჯიც,
სიკვდილსა აქვს მოსაძოვრად.

1963



სოდომ და გომორა

როს დაამძიმებს მიწას ცოდვა
 სოდომ-გომორის,
 მაშინ უფალი წარდგნას მოუვლენს –
 ადამის მოდგმის
 ჩონჩხს აგროვებს
 ღამის ყანაში.
 ჭირისუფლებად კი ღრუბლები
 ისევლე მოვლენ
 და ცა ქვითინით გადაუხდის
 შვიდჯერ
 პანაშვიდს.

1966



ლეგენდის მხარე

კოლხეთი სულ ლეგენდების
იყო მხარე, ახლაც არის...
მუდამ გვარზე ხტება კვიცი.
სიახლოვეს იქ ჭურიას და
ნაბადას,
ჯერ ქვეყანამ აღარ იცის,
თუ რა კაცი დაიბადა.

1959



მოხვია

ცეცხლის თვალება ელგამ სივრცე
 გადაიკივლა
 და ვარსკვლავები გაიძურწნენ –
 ბნელში რიგ-რიგად:
 გავარდა მეხი
 და მოვარდა უცებ მოხვია*,
 რომელმაც ურცხვად ცის ლურჯი
 წიგნიდან –
 მთვარის ფურცელი გადაშალა
 და ამოხია.

1964

* – მოხვია – თაგსხმა წვიმა



კანარის ჩიტი –
ცხაურს მიასკდა,
როს მიკიოტის კივილმა ცას
გადაუფრინა.

1954



როგორც მგოსანი ნიზამ განჯელი,
პოეზიაზე იგი არ მსჯელობს,
უთქმელად ამბობს –
მიქელანჯელო,
რომ მხატვრობა და პოეტობა –
არის სასჯელი.

1961



სიმყუდროვეში თვლემდა დაღლილი,
კუნძული ედო,
ვით ყურთბალიში,
ზღვას დაეჭირა კუდი მდინარის,
როცა მოესმა ხმები –
ქარიშხლის
და თოლიების ხმა გამყივარი.

1976



ცახე პოლნეთის

არავინ უწყის ცაზე პოლხეთის –
თუ რა დროიდან დაცოცავს მზე –
ჭიამაია.

პონტო – ლომია აწეწილი
ზეირთთა ფაფარით,
და პონტოს პირას ხოხობივით
ბუდობს „აია“, –
მითებისა და ლეგენდების თავშესაფარი.

1964



მთვარე

ცის მინდორზე ნარბენალი,
პლანეტების რიგს უვლიდა
მთვარე,
ახლა ჩანს დაღლილი,
და გარსკვლავთა მოქმედოვილ
რიკულიდან –
იმზირება კვლავ ბალდივით.

1971



ზიდი კოლხეთი

ორმოცამდე საუბუნე –
დარახტული დის ამაღით...
მიდიაც და კილიკიაც –
სულ პატარა ბილიკია,
დიდ კოლხეთში მიმავალი.


1968



ჩიტი მოგდევს და მოგძახის

აიეტის შთამომავალს,
ჩიტი მოგდევს და მოგძახის:
გმირი ცოტნეს
გზებით გევლოს.
მზე – გიცოცხლებს სამეგრელოს –
საქართველოს –
ფარს და მახვილს.

1993



მეგალითები

სტრიქონთა საწინახელში დაწურული,
ყველგან,
სუსკელგან რითმებია,
მათრობელა, ვითარცა „პახური“,
შენი ლექსები –
მეგალითებია*,
სადაც შენი სულია დამარხული.

1982

* – მეგალითები (ბერძნ) – უზარმაზარი ქვებისაგან აღმართული ნაგებობა (აკლდამა, სამლოცველო)



ღამეს ქათქათა მოსავს ღრუბელი,
სივრცეს რქებით ჩხვერს
მთვარე ვერძივით.
სადღაც ცის ფსკერზე კვლავ მზის –
ნაღმი ძევს.
და დედამიწას სამუდამოდ არ დაეძინოს,
მიწისძვრა არა,
თვით უფალი ანჯდრებს,
აღვიძებს.

1962



ნანა, ლილე და მნ-ლილი

ფიქრმიუწვდენ წარსულიდან –
 მომავალში მიგაქანებს,
 ქარ-ბორია გამოვლილი –
 ძველ კოლხური იალქანი, „ნანა“¹,
 „ლილე“² და „ენ-ლილი“³

1964

¹ მთვარის ღვთაება კოლხურ პანთეონში (იგულისხმება შეგრულ-სვანურ-ლაზური)

² ლილე – მზის ღვთაება (სვან)

³ ენ-ლილი – სინათლის ღვთაება (აქად)



მონატრება სულს კვლავ დაფავს
და დაგეძებ ტყაში მაფას,
მხოლოდ შენი მორჩილი.

იქნებ,
სადმე ახლო იყო,
მიტომ ასე დავჩინდრიკობ –
ტყეში ოჩოკოჩივით.

1979



**გორდა, ფრანგული,
დავითვარული**

როდესაც სამშობლოს სამანთან,
უშქარი მომხდური მოზღვავდა,
გულის მოსაოხებლად

მავანთა,

მაშინ ერწუხთან და ტაოსთან,
თურქი და ოსმალო აოტა –
გორდამ და ფრანგულმა...
და დავითვარულმა...
მტრის, ხმლის სიკაშკაშე

გააუფერულა.

1988



ვით დედა, სულგუნს,
მწუხარი რძიან მთვარეს
ამრგვალებს
ხობის წყლის პირას –
მითავამის ირჩევა ტოტი.
ხის კენჭეროზე ასულა და
ბიჭი მარგალი,
გხედავ, ვით უხმობს კოლხურ შავ
ტახებს
და ვით მოარღვევს ქამთა უღრანს –
მითების და დორების კოლტი.

1955



მსპარეთში

„ხვდლიკი – ნიანგის წვეთი“.

ლორდა

ნათესავები ვხვდებით ერთმანეთს,
ლორქას თვალებით
ვუმზერ ესპანეთს.
ზღაპრული ქვეყნის მე ვარ დესპანი.
და, ეს ქვეყანა –
საქართველოს
ისე მიაგავს,
გითარცა ხვდლიკი, პირმშოს ნიანგის.

1981



მიმწუხრისას მოვარის ჩანგით,

არც ლორქა ჩანს,

არც ოვიდი.

ცას გულისოქმა უხმობს მიწის.

ზღვას სურს მაღლა ამოვიდეს

და ტალღების –

ხელებს მიწვდის.

1956



ხეალში 07828

პარნასზე მსხდარო,
ხელდადებულთ –
აპოლონისა და ზევსის,
სცადონ, სიტყვა გაგილახონ.
ხმალში ოწვევ
ქართულ ლექსის, –
ამირბარს და ამილახორს.

2003



არმაზის მთები

თოვლის სისპეტაკე ტანთ აცვიათ
და შორით მთები ჩანს

ქართული.

მთებზე რომ დგანან –

არმაზი, ზაფენი,

გაიმ და გაცია, –

ჩვენი ღმერთები წარმართული.

1971



მანგზ, თენგრი, ძურულებურ

ქართველებმა მონგოლთა –
 ნუკერებს და ნოინებს,
 გზა უჩვენეს გოლგოთის,
 ბრძოლის ძველი ოინით.
 მაგრამ, მერე, როდესაც
 მომხდურებმა იძალეს,
 ქართველებმა ხელო იპყრეს:
 ხმალიც, ცელიც, ფიწალიც.
 მაშინ ველზე გაისმა:
 „მანგზ, თენგრი, ქუჩუნდურ –
 უკვდავება ღვთის ძალით“.

1973



მიმწუხარისას კრწანისთან –

დრო –

წარსული იელვებს:

თათრებად და ლეკებად.

მტკვარი, ვით ინდიელი,

სადღაც მიერეკება,

ზეირთ-აქლემთა ქარავანს.

1959



შენი ლექსები ლოცვებია

შენს წინ რომ დგანან მუხლმოყრილები,
 შენი სამშობლოს ბორცვებია,
 რომელთაც ცისკენ სირბილით,
 მთებიც კი გაუოცებიათ.
 ღვთის სადიდებლად აღვლენილი –
 შენი ლექსები –
 ლოცვებია.

1988



გეღის მღვრა

რაც ოცდაათს გადაგცილდი,
არ მასვენებს,
მუდამ მესმის –
საიდანდაც გედის მღერა.
და მე ვიცი –
ზღვა და ლექსი –
არის ჩემი ბედისწერა.


1971



მუდამ დაგუნდეთვები

კვლავ აყრუებს სამყაროს –
 ღრიანცელი ბელტების.
 ცისიერი –
 მიწისთვის,
 რა ვქნა, არ მემეტები,
 თორემ მე ტრანსცენდენტურ –
 პლანეტების უღრანში –
 მუდამ დაგეხტები.

1969



ძველობის

ეს გაბატრული დევები,
გზის პირ რომ წვანან შროშასთან,
გლეხეკაცებს თავს ურჩევნიათ.
თითქოს რაღაცის თქმა უნდათ,
მაგრამ ხმას ვეღარ იღებენ
და პირი დაუფჩენიათ.

1979



ალექსანდრე გოლიცირი

შშპა, შხარა და თეთნულდი

მოქმო,

ო, როგორ გიყვართ ერთურთი,

ასეთი სიმაღლე,

პოეტს,

ვის რგებია?!

სვანეთი თითქოს ოკეანეა,

უშბა,

შხარა და თეთნულდი –

ნისლში მოცურავე აისბერგებია.

1965



ისევ ბზა და ბზა

ამფორები და სურები,
ისევ შემომხვდნენ შროშასთან,
ვითარცა სოფლის ცირები.
და დოინჯშემოყრილები,
დასავლით —
მიმაცილებენ.

1967



0 ლოსი

აიეტის ასული –
 პვლავ ზის ჭორის ბუდეში
 და ბანს აძლევს მითოსის
 შამბნარიც და ახოცა:
 – ოუ მედეა გაგიუდა და შვილებიც
 დახოცა,
 მაშ,
 საიდან ბადიში –
 ილოს მერმეროსის ძე?!

1964



შეპივლება ამორძალის

ამოგარდა უცებ ქარი,
თითქოს რაში წარსულიდან –
დაოთხილი მოაგელვა,
მაოხარმა და მოძალემ.
კოლხურ ცაზე გაკრთა ელვა –
შეკივლება ამორძალის.

1964



გლეხებაცის სიპვდილი

მორჩა ცრუ სოფელთან თამაში,
 გლეხებაცი წევს შუა
 ყანაში,
 და ტარო უცინის სიმინდის.
 ხმა ესმის „იქ“ წასულ
 მეხრეთა,
 ამდენხანს სულ გარეთ ეხება,
 კვდება და პგონია
 შინ მიდის.

1959



უტურულურსი

ძველი ათასწლეულები –
ომის გზებზე დიან
ოხვრით
და გაავლეს უტუს მუსრი.
არგიშთს ებრძვის
დიაოხის –
დიდი მეფე უტუფურსი.

1968



გარ ბეჭინერი

საქართველოში რა გამოლევს
 ნესტანს, თინათინს,
 მაგრამ შენ სხვა ხარ,
 სულ სხვანაირი –
 ნიჭით, გონებით,
 სახით, იერით.

სხვა არრა მინდა,
 შენ რომ სუნთქვავ,
 მეც იმ ჰაერით,
 სულს რომ ვიბრუნებ,
 მე ამითაც ვარ ბედნიერი.

1961



ლოდის ნატეხი მედება
თაგქვეშ,
მაგივრად მუთაქის,
ჯვარი მედგმება ირიბი.
და მე,
სიკვდილით უკვდავქმნილს,
ზღვები ნუ დამიტირებენ.

1990



ყოვლისმხილველი –
 მზერა პოეტის,
 მიმწუხრის ცაზე ჭვრებს სერაფიმებს,
 რომლებმაც გამკრთალ ელვის ნათელზე,
 როგორ მოიხსნეს ნისლის ჩადრები
 და ვარსკვლავების ატლასები
 როგორ გაფინეს,
 ოქროს ფრთიანმა ცის ბინადრებმა.

1979



მოდიან ლურჯი განთიადები,
შავი ღრუბლების ჩოხას გაცმევენ,
რომლებსაც შვენით ელვის ყაწიმი.
შენ კი, ჰე, ზღვაო,
არავინ იცის, სიდან მოსული,
მარტოდ-მარტო ხარ.
ქარიც არ ჩანს ხმათა გამცემი,
გასცემი სიგრცეს სევდიანი
და მარტოსული.

1986



ამბობენ:

როცა გავშლით პურ-მარილს
და დარდისფერი ღვინო ისმევა,
მიცვალებულნი ჩვენი,
მაშინ, როგორც სტუმარი
მოაწყდებიან სააქაოს კარს
სასმისებით.

ცარიელია მათი სასმისი
და ვის სახელსაც ახსენებენ –
მათი ჭიქები
პირთამდე ძვირფას ღვინით
ივსება.

მიცვალებულნი ჩვენი ვახსენოთ!
რომ სასმისები არდავიწყებით
და ღვინით მუდამ ჰქონდეთ
სავსენი.

1965

სხვას არა,
ვითარც ბუნების მგოსანს,
მე უნდა მეოქვა,
რომ ზღვის დარდი და სევდაა წვიმა.
ალუბლის ტოტზე პატარა კვირტი,
დაბუა ჩიტის
გულივით ფეოქავს.
და დილის ცვარში გარსპელავი
ბრწყინავს.

1962



კოლხეთით გადმოხვეწილი,
არასმქონე და ყარიბი,
წლებმა
სამოცის მოგყარეს.
აწ მზერა გზისკენ გაგირბის –
ელი
იმ “უცნობ” მოყვარეს.

2001



სავლაპი

პონტოს სანაპიროზე –
მიმწუხერისას
მეტადრე,
ისმის ზღვის ლაპარაკი:
– მზის შვილ აიეტამდე,
კოლხეთს მორჭმით მეფობდა –
დიდ ხელმწიფე სავლაპი.

1980



თუმთხალია


კოლხთა უღრან წარსულში,
 ისევ დავეხეტები,
 და ზედიზედ იხსნება დრო-ჟამთა
 ცხრაკლიტული.
 და დღეებს უხარია:
 რომ მოდის თუმთხალია –
 უფალთან წილნაყარი,
 ვისაც პქონდა “სამყაროს
 მეფეთ-მეფის”
 ტიტული.

1971



აპა, მეოთხე წელია,
ხან თბილად,
ხან გამძაფრებით,
შევცქერით მე და მოსკოვი,
ცას –
მოვარის ყაჭის ძაფებით
და ვარსკვლავებით მოქსოვილს.

1982



არის საჩინო

ათასწლეულთა დია სარკმელთან –
 მზესავით ხედავს მტერიც,
 მოყვარეც
 და ნათელივით არის საჩინო,
 რომ ისტორია,
 სხვებმა არა,
 “მმებმა” მოპარეს –
 კოლხებს და დღესაც
 აღარ უნდათ გამოაჩინონ.

1970



გამოქცეული მთათა სიმაღლეს,
უმსუბუქდება
მძიმე სხეული.
ასე ჰგონია –
ახლა შინ არი.
სადღაც ზღვაში თავს იხრჩობს
მდინარე,
ამ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული.

1992



პოლსების ზღვა, ზღვა ჯურჯანის

გითვალთვალებენ ციდან მთიები,
 მეისტორიევ,
 მართალ ფურცლებს
 ვით ამოხევდი.
 ხელში ეჭირა დამეს მთვარე,
 გითა გუჯარი,
 რომ შავ ზღვას ადრე ერქვა კოლხების,
 ხოლო კასპისას –
 კი ზღვა ჯურჯანის.

1989



გაშა მთებს დასტრიალებდა


ვით ელვა მეხთა მტყორცნელი,
ვინ იცის, სად იალებდა,
ქართული ცით და ველებით.
ვაჟა მთებს დასტრიალებდა,
შენ კი ზღვებს –
ვეღარ ელევი.

2004



ვით ძველად,
 ახლაც აღვიძებს სოფელს –
 მამლის ყივილი,
 ბდაგილი ხარის.
 და შავი კვამლი ასული ბუხრით.
 დილამ ცას
 მოვარის ჩამოხსნა კარი
 და მიაყუდა პედელზე მწუხარის.

1976



სიკვდილი –

ქორია,

სიცოცხლე –

წიწილი,

ერთს ჩაუქროლებს და...

მისი ნადავლია,

რადგან ღვთით ასე ავალია.

მზე – ევაა და,

მოვარე – ადამია,

გარსკვლავები – მათი შთამომავალია.

1984



ვით ბაყბაყ დევს ამირანი,
 ზღვისკარად,
 ახლა რომ შევები,
 გარდასულ ჟამთა ქარებია.
 კოლხთა მიწაზე ლურჯი ტბები
 და გუბეები,
 აიეტის რკინის ხარების –
 ნაჩლიქარებია.

1959



მამლის ყივილის ნაბილიკარზე –
ქართული მთვარე
ნათელს მიარხევს,
დუმს გორის ციხე და დუმს ატენი
და მთვარე გდია ჭალიკონში –
მტკვრის და ლიახვის,
გულგანგმირული გამთენის
ელვის სატევრით.


1967



მერცხლები

ოჯახის პატრონს ხმობენ ჭიკვიკით,
 წასულა ყველა,
 არ ჩანს არავინ.
 დგანან ალვები, ვითარც მათი
 მოსაგონარი.
 ტანზე მოუსხამთ ბერებივით
 დამის წკვარამი
 მერცხლებს და მთვარე უკიდიათ
 მკერდზე ოლარად.

1981



სამდურავი

ძაღლუმადური ყოვნა მოგწყინდა
და გამგზავრება “იქიო”
ირჩიე.
ბევრჯერ დატოვე ლიად კარები,
მაგრამ სიკვდილი
ვერ შეიჩვიყ,
სათოვეზეც კი არ გეპარება.

2004



მეცნევა

ჩემი ბაგშვობის მოგონებები,
 თან წაუდიათ
 გაფრენილ მერცხლებს,
 ცას მკერდს უმშვენებს ცისარტყელა,
 ვითა ოლარი.
 დედა,
 მოვედი შენ საფლავთან მე –
 რიგით მეცხრე –
 შვილი, პოეტი და ნაბოლარა.

1983



ცეკვეთისი

მეხთატეხით და ჭექა-ჭუხილით,
არავინ უწყის,
თუ რამდენი ხანი გავიდა,
საწყალი მთვარე რომ დაღუპულ
ღრუბლებს მისტირის
და ათასეულ წლის უღრანიდან –
შებლშეჭმუხვნილი
იმზირება ნეფერტიიგით.

1962



მთვარის პინაფარი

სადღაც ცისქოს ვარსკვლავი –
დამის შიშით ცახცახებს,
თუმც საამო დარია.
შორ სივრცეებს გავძახი:
რომ მე ბინადარი ვარ –
ოცნების ლურჯ
მთაზე მდგარ –
მთვარის თეთრი სასახლის.

1964



თვალს კოლხეთში ახელდა

ფრთები უფალმა უბოძა,
ფრენას დაჩვეულს ისედაც.
თვალებს კოლხეთში ახელდა
ერმა,
ვისაც გუნდი მისდევდა
“მამაც ზღვარგადამლახველთა”.

1988



კაცობრიობაგ

ერთულთის მტრობის და სიძულვილის –
 ამდენი მატლი
 და ამდენი შურის ობობა,
 სანამ ვითმინო, ვითარც იობმა?!
 უსინდისობა,
 უნდობლობა,
 უმეგობრობა, –
 გრცხვენოდეს! –
 შტერო კაცობრიობაგ!

1961



მოხედვა

ქართული მიწის კი არა,
ამდენ მტერ-ოხერ-მოკეთეს,
ვედარ აკავებს დობე ცის!
სადა ხარ, ღმერთო!
მოხედვა!

ერს –
შენსკენ კისერმოდრეცილს!

1991



ლაშარი და ლომისი

მუხლმოყრილი ლოცვად დგას
ლაშარი და ლომისი.
მთიდან არაგვს ჩამოაქვს
დის მოჭრილი ნაწნავი.
ალგეთიდან მოისმის –
მგლის ლეპვების წკავწკავი.

1989



ცაო

გხეხავენ შავი ღრუბლები,
მაგრამ არა და არ ცვდება.
მალიმალ გესაუბრები,
ცაო, შენ დაგენაცვლები,
რადგან დღითი-დღე თეთრდები,
ასფალტზე ყრია მარცვლები
ივლისის მზის და... აგვისტოს
კანკავენ წვიმის წვეთები.

1968



თეთროსანი

“მზე – დედაა ჩემი...”

ვინც ადამის მოდგმისათვის
ადამა და ათენა,
თაყვანსა ვცემ დემეტრას,
გეას, რეას, ათენას.
მუხლმოყრილი მოვუსმენ –
ძველ სამისხოს დელფოსას.
და, ვით სანთელს, მზეს ვუნთებ –
ჩემს დიდ დედა –
“თეთროსანს”.

1964



ღრუბლები ზღვებიდან ამოდიან
და მდინარეებს და
რუს უვლიან,
წვიმებით სავსე აქვთ ჩიჩახვები.
ყოფნა-არყოფნის შუა –
უფსკრულია,
დგინიასავით,
ბრალი, ვინც იქ გადიჩება.

1974



სანამ აბელი იყო ცოცხალი,
 ციდან ვარსკვლავნი
 დაჭხაროდენ მოკაშკაშენი,
 ადამის მოდგმის სახელი კი
 ზღვისებრ გრგვინავდა.
 აწი შენ, რაღა გეშველება,
 მოდგმავ კაენის,
 ცოდვილი მიწის საწყალ ბინადარს.

1969



თეთრად გასკორილ ლედვის ტოტზე –
სხედან ქათმები,
მოხუცი ბებო, როგორც წარმართი,
მაინც მოუხმობს საქათმისკენ:
— ოო კარ! ოო კარი!
ცად ვარსკვლავები, —
სინათლის ეს გოლიათები,
დღისა და დამის ორგაპ ფერზე
ჩუმად როკავენ.

1955



ზღვისკარად დამდგარს,
 ფერმქრთალი ტალღა,
 სულ პაწაწინა,
 როგორც მზეწვია,
 მომეახლა და ჩამჩურჩულა:
 მე მედეას ცრემლის წვეთი ვარ,
 გამოვექცი ჟამთა უტევანს,
 ჩემს კოლხეთამდე რომ მომელწია,
 მხოლოდ ამის თქმა მოასწრო და...
 სული განუტევა.


1963



ბოლნიშვილი

გზისპირას თოვლში გდია
გატეხილი
ბოლნიშვილის
და ეზმანება ქარტეხილი
თოვლს,
წითლად მომდიმარს და
გალეშილს.

1955



ՅԱՅԻ ՈԵՍ ՀԱ ՈԱՅՈՏ

Յեղազ,
Ռոջոր մաղլացեծա,
Կան նօսլագ,
Կան յարո՛մելագ
Դա մոյլո՞ցու միունցու.
յլո՞ց –
Սյոլու արու եմա,
Յոտ սիու դա օանու.

1966



გასცემრი სივრცეს და მზეს აიხის,
როგორც მყინვარზე ამოსული
ედელვაისი.
აღარ იციან შენი ფასი
მამაკაცებმა,
რომ ხარ სიცოცხლე,
სიყვარული
და აღტაცება.

1959



გზა შორეული

იმ შორეულ წარსულში –
 გახსოვს ყოფნა
 სხვა იყო;
 დამე ქერუბიმები სხვა ნათელით
 გმოსავდნენ.
 არავინ უწყის, რამდენი განვლე
 გზა და ქაოსი.
 და რამდენი იცხოვრე შენ –
 ამქვეყნად მოსვლამდე,
 მიტომაა სიკვდილი ახლა
 რომ არ გაოცებს.

2004



ლერწამი

ძველ ხობოსის ზეირთებს ჩაცქერს,
ბებერი და მზის დუყება
უამი —
ეოვლის დამლეწავი.
პარას ჭალას მიუყვება
და მიარხევს ტანს ლერწამი.

1967



მთებს გადმოდიან უჩუმრად,
 ქათქათა ფაფახიანი
 ლრუბლები –
 თული ლეპვები,
 ამტვრევენ ყინვის ცხრაკლიტულს.
 და სუსხი აზრობს –
 ლეპემბრის
 ცას –
 გარსკვლავებით გაკვირტულს.

1957



შემოდგომა

დვინის ღმერთი დიონისე,
მზის ტოლ მტევნებს
წურავს მუჭიოთ,
თამაღადა შეუცვლელი.
ებერება ქვევრს –
მუცელი.

1961



ქარი სახელოჩამოხეული,
არავინ უწყის –
სად არ ნათრევი,
მიდის...
მიჰყება ზვირთთა ამქარი.
ზღვაც უძილო და
ლამენათევი,
ნაპირს მოადგა და დაამთქნარა.

1969



მზე იბანდა ოქროს დალალს,
წყალს ისხამდა
მუჭა-მუჭა
და როდესაც დაიქუხა,
მოვარე სადღაც მიიმალა,
ზღვას კი სახე დაეჭმუჭნა.

1969



ზშავში

სხედან ვარსკვლავები და
 ღამეს ყაჭისძაფივით –
 მოვარის მორგვზე ართავენ...
 დღეები კი მზესავით ისევ უკან
 მოგტირის;
 რადგან იყავ ღმერთივით –
 მაღალი და მართალი,
 მგოსანო შორის მგოსანი,
 მომავლის ორიენტირი.

2003



ქარიშხალი

ალბათ ღმერთმაც აღარ იცის,
ეს დემონი –
ცის და მიწის,
ზღვაზე გამდებელი ხიდის,
სად იშვა ეს ქარიშხალი,
ან სად მიდის.

1990



მითრიდაშვილის ეტრატეპი

მარადებამს ცისკენ ხელებგაწვდილი,
ხან თეთრად და ხან
შავად ირთვება
და ბოლავს... განა ეტნას მთებია,
ქარით ნაწერი,
ო, ის ზვირთები –
დიდ მითრიდატე პონტოელის
ეტრატებია.

1968



შიგნის პითხვისას

“გლახის ნაამბობიდან” –

მესმის:

“ჩქარა როზგები!”

დამეა და...

კვნესის ხმა გარსკვლავებს

უერთდება

და ჩამოდის სინათლედ

სუნთქვა ანგელოზების,

გაოცება სივრცეთა

და დუმილი ღმერთების.

1980



ანდრია მოციქულს და სპილო განანელს

ჩემს კოლხთა სულიერ მოძღვართ
და ნათესავთ –

ანდრია მოციქულს
და სვიმონ კანანელს,
რომ ქრისტეს სიყვარულს –
კოლხეთში თესავდნენ,
ურჯულოებმა გერ მოანანეს.

1970



როგორც თეთრი და შავი არაბვი

ლამის ჭიშკართან გიცდის დიდება,
მაგრამ შენ მისთვის
აღარ გცალია,
რადგან არ ყოფნა,
ყოფნით დარაგვე,
სიკვდილ-სიცოცხლე ტყუპისცალია,
როგორც თეთრი და
შავი არაბვი.

1968



ცა –

ღმერთების სამკვიდროა,
მოკვდათათვის სანუკვარი.

მიტომ ჰყიდებს –

ლურჯ ღრუბლების
გობელენებს.

ზღვას ჰგავს –

ტროა,

ქლეა –

პარისს,

მზეს – ელენე.

1987



მოვალთ ტირილით...
და სიცოცხლის ციცქნა მუჭებით,
ამ წუთისოფლის კაბის კალთას
ვებლაუჭებით.
ის კი გვიშორებს,
როგორც ავი დედინაცვალი,
სად ხარ, სიკვდილო,
შენ გენაცვალე.

2003



ბორგავს პონტო

გადავიწყებას ათასწლეულთა –
 გზა გადულახავს
 დასაბრკოლები:
 არ ჩანს სანები,
 არც ჭანები და არც ზანები.
 არც კასიტები, კორაქსები
 და არც კოლები*.
 და ბორგავს პონტო...
 ვაკ, ისინი თუ ეზმანება.

1964

* კოლხეური (ქართველური) ტომები



მზეზე არა,
შავ დღეებზე დარდით,
შეჭმუხვნია დამეს
მთვარის შუბლი.
წყვდიადიდან სინათლედ რომ ისმის –
გარსკვლავები –
სიტყვებია უფლის,
დაფარული იდუმალი ნისლით.


1978



დიდგორი


თუმც მინავლულა წელი ცხრაასი
და მაინც მოისმის
სიკვდილის
ჭიხვინი
და კვნესა შუამდე გაპობილ
კაც-ცხენის.
ისე დგას დიდგორი შუბლშეჭმუხვნილი,
თითქოს და დავითი
ბრძოლის ველს გასცემის.

1977



ზღვა იყო მკრთალი
და გარინდული,
ვითარცა მულდაზანზარის ველი.
მზემ კი დრუბლების დასწვა ზვინები
მერე სამყაროს მოხვია ხელი
და წაიყვანა –
სიჩუმეში დასაძინებლად.

1984



ქრისტესავით ამაღლების

მწუხრის კაბა შემოხვეულს,
აზიდავენ ტანს ნაძვივით, –
ცისკენ მთები და ტალღები.
ზღვას კი ფიქრი არ ამინებს –
ქრისტესავით –
ამაღლების.

1959



მიმწუხარისას ცის ტაძარში,
კვლავ ატყდება
ჩამავალ მზის –
ზარის რეკვა.
მერე მოვარე დააჯდება
დამის ბუდეს
და ვარსკვლავებს გამოჩეკავს.

1960



აშგ

როდესაც სულს ცისკენ მქროლავს,
 გულმა თვალი მიადევნა,
 მაშინ გაქრნენ ვარსკვლავები –
 ცის ბარტყები.
 და სინათლის დიადემად –
 დამადგა მზე და ფერები
 ცისარტყელის.

1965



0რეზო

შუბლში ჰქონეს ტყვია ხირიმის,
მთებთან არ ალაპარაკეს,
უხმობს თურმე ის ირემი,
ბლავილით სამას არაგველს,
— აქ ვართო! —
ობელისკიდან,
გაქვავებული ხმა ისმის.
ყაყაჩოების ცეცხლს ანთვებს —
ნარიყალა და კრწანისი.

1991



სარგა ბატა

ზესკნელსა და ქვესკნელს ატანს,
სული ჩემი –

სარვა-გატა.
თუმც ჯერ არ აქვს ცაში ბინა.

გჭვრებ:

სიკვდილზე ამაღლებულს,
განშორების ფრთებით მფრინავს.

1999



ფეხდაფეხ დაგვდევ ქველგან,
ყოველთვის,
წამით არ გვტოვებ,
თავზე გვევლები.
ეპა, სიკვდილო, ხარ უცვლელი,
ჩვენ კი ვიცვლებით.
და ვხმობთ სიცოცხლედ –
იმ გაელვებას,
წამით, შიშით რომ ველაციცები.

2001



ცა გენახია

ზესკნელი – სულთა სასაფლაოა,
 ჩვენი წარსული იქ რომ მარხია,
 მიტომ ცრემლებად მიიწევენ
 იქ შადრევნები.
 ლოცვა-ვედრებით გაფოთლილი
 ცა-გენახია,
 ჩამოხუნძლული იმედების ოქროს
 მტევნებით.

1980



ქვეყნად ქართველი არასოდეს გადაქარდება

ვითარც ყინული, გულო, არ თბები,
შორ მომავლიდან –
თუმც ყიჯინა გესმის ქართვების.
ქვეყნად ქართველი არასოდეს
გადაქარდება,
არწივის მართვე არ იქცევა
ბერის ქარდებად,
მაშ, გულო ჩემო, ეს საწუთო,
რას გემართლება!

1993



საშპრენა ოცდაცამეტი

არც აროას ვაკლებ
და არც ვამეტებ,
საუცუნეა ოცდაცამეტი,
რომ ფაზისი და პონტო ევქსინის,
ღალატის შხამით წუხეს
დაგესლილი.

კოლხეთის ცაზე –
ვარსკვლავების ოქროს რიკები,
ორფეოსის ხმით რომ ირხევა
და იდრიკება.

1993



აპრაშს ელვის ოქროს ნალი

უხილავმა მეხი ტყორცნა
და ჩააქრო მნათთა კერა,
ცას ავარდა –

ცეცხლის ალი,
სადღაც ქარი მიაგელვებს
ღრუბლის მერანს,
აკრაგს ელვის ოქროს ნალი.

1978



მოგანე პორტფელი

მირიადი წლის სიმყუდროვიდან –
მზე კვლავ ამოდის
როგორც ოცნება.
იებს მაწვდიან საფლავების
მწვანე ბორცვები.
ხეებიც ცისკენ ხელებს იშვერენ,
მაგრამ არ ვიცი,
ვერ ვგებულობ,
რას მანიშნებენ.

1970



შორეთიდან მოსულებმა –
ზეირთებმა როს ჩაახველეს.
აყირავდა ზღვა სველ ქარში.
და მოადგა მერე ხმელეთს,
ერეოდა ცრემლი ხმაში.

1964



პოლნეთის მგელ კარიბჭვს

საიდანდაც კოლხური –
მესმის ტყბილი ჰანგები,
სიცოცხლეს –
რომ მანიჭებს,
მაინც ვერ მივაგენი –
კოლხეთის ძველ კარიბჭვს.

1959



გზა სიცოცხლის

ქვეყნად წამიერი ყოფნა,
არავინ უწყის,
რას ავალებს,
მოკვდავნი რომ მისტირიან.
სადღაც,
შორეთს მიმავალი
გზა სიცოცხლის –
სიკვდილია.

1961



სბონაგთ პონტოში

გადავიწყების ნისლით დაფარულთ,
ათასწლეულთა ქარით

გალეშილთ,

სბინავთ პონტოში –

ჩემს კოლხურ ფლორებს და
ფაუნებს.

ბევრი,

კოლხეთს ისტორიის ცივ უღრანებში,
ოცნებითაც ვერ იმოგზაურებს.

1979



გერცხლისფრად მბზინავ ნაძვის ტოტებზე –
ყინვის ზოლება –

თოვლის ქულები,
სხედან კანკალით, ვით დამფრთხალი
კატის კნუტები.
ფიფქთა პეპლები მოფარფატებს ციდან
ულევი,
წამიც-და ყველა მიწის ხელით
სულს განუტევებს.

1960



ა. ს. გ.

ამოცვივდნენ და ცას ვარსკვლავებმა,
 დუმილის შავი ფარდა ახადეს,
 მაგრამ ღრუბლებმა წამს დაფარეს
 მთვარის მიზგითი,
 ვით მწუხარება ორჯერ ნახადი,
 დამეა სოფლად,
 სწორედ ისეთი.

1993



როცა ამქვეყნად მოვალთ ტირილით,
ათიათასჯერ დათვლილ დღეებს,
როგორც მონებებს,
ჩვენი გამჩენი გვაძლევს ნისიად.
რადგან სიკვდილი –
დიდი პოეტის,
ქვეყნად სიცოცხლის დასასრულის
დასაწყისია.

1998



ცაცხვებზე მთვლემარე ყვავები,
დარჩენილ სიცოცხლეს
აბოდებენ
და ადარ უნდა მას დიდი მისნობა,
რომ ობოლ საფლავებს –
დამხობილ ლოდებზე,
ქვეყნად სხვა არავინ, სიკვდილი
შეიცნობა.

2001



ორმოცდაათი წელია,
სისხლში და ცრემლში ნავლები
რაც მდერი...
ავლავაც იმდერე...
და დაუყენე თვალები
მტერს,
სიკვდილსა და სიბერეს.

2004



მუსიკა და მუზენიერება

სიკვდილ-სიცოცხლის
შავ ყდაში ჩასმული –
ყოფნა და არყოფნა,
დამის და დღის ნაწერს მიაგავს
ორ რვეულს,
რომელსაც ვერა და ვერ შევეძიე.
ცეცხლოვან ორეულს –
გწველსა და მშვენიერს.

2004



ბოლო იმედი

დრო მოვა როცა,
შენს ბოლო იმედს,
თავს შეაფარებ –
მთაწმინდის მღვიმეს.

1999



სადაც დაწევა

უამს მიმწუხხოსას, როცა მიწაზე –
გარდ-ყვავილების

ფერად ნაფენი,
მზე შემოიხვევს სიმყუდროვის
ყვითელ მანტიას,
მაშინ აყვები ვარსკვლავების –
ყვითელ ქვაფენილს,
კარს მიაღები –
სად ვაჟა და
სადაც დანტეა.

1991



პრძანებს მესია

ვით მდინარეს ნაკადული,
სიცოცხლე კვლავ
სიკვდილს ერთვის,
ასე პრძანებს მესია:
მომაკვდავის ცრემლის წვეთი,
ზღვაზე უმძიმესია.

1967



ზამთრის ფლეიტა

გამოვნისას ცა იწყებს გალობას:

უჭირავს მთოვარის დაირა

და თარი.

ყინვები გაბზარულ გუბეებს ამთელებენ.

თოვლის ქათქათა ხემს უსვამს

ზამთარი,

ცვივა ბგერებად ფანტელები.

1959



თურქეთისაკენ მიქცეულ ზვირთიდან –
ხმა ისმის გაყიდულ
ძისა და ასულის.

უფალი მიუზღავს ჩვენს დამქცევს
ერთს ათად.

ზღვა –

გლოვაა კოლხეთის წარსულის,
პალიასტომის ტბა – ცრემლია დედათა.

1957



დილა ზღვად ჩაერის ჭუჭყიანი
 დრუბლების სარეცხს,
 ქარი მაშინვე ამოიტანს,
 მაგრად გაწურავს
 და დაკიდებს ელვის ბაწარზე.
 მოვა შუადღე, როგორც ქალწული,
 დრუბლის თეთრეულს მზის უთოთი
 დაბუთავებს.
 მერე ციდან კი,
 ღრმად მოხუცი
 მწუხრი გამოდის,
 აწყობს თეთრეულს დამის კამოდში.

1969



მთებს და მწვერვალებს

ცეცხლოვან ომებში მკვდარ
ათასწლეულებს,
მთებსა და მწვერვალებს,
ზღვებსა და ვარსკვლავებს
და ელვას ზეცაში შიშით რომ
ცახცახებს –
“კოლხური ფსალმუნით” –
მე სული ჩაგუდგი
და ჩემს წიგნებში დაგასახლე.

1998



ଓରଣ୍ଡବାସ ଉଦ୍‌ବାଚି

ପାଠ ରାଧାଚ ଗାନ୍ଧାରିକାରା,

ମଜର୍ଯ୍ୟ କମା ଶୁଭେଳ

ଗାନ୍ଧିଲା.

ଏହା ରାମଜୀର ଲାଙ୍ଘା ମନ୍ଦିରରେ,

ଗାନ୍ଧାରିକାରା ମତଗାରିକି ସାରଜମଲିଲାନ

ମୁଖୀ,

ଯାତ୍ରା ରାମଜୀର କରିବାକାରି.

1958



დღეებს, ვით მეციხოვნებს,
ადარ გაუდით ჩქამი
და ეუფლება დამე –
უფლის ნაბოძვარ ნათელს,
ზარს არ არისხებს მნათე,
შიგნიდან ტყდება ციხე
და ჩვენს ყოვნის ძაფს სიკვდილი,
თითხე გულმშეიდად იხვევს.

1984



ჩე გოლა*

კლდეზე ვერძია გამოკვეთილი,
მაგრამ არა ჩანს
ფარა დამფრთხალი
და ღელები, მწყემსო კეთილო –
შენ დაგეძებენ
ზაფხულ-ზამთარი
და ფეხშიშველი ტყე-ღრეუბში
დატანტალებენ.

1965

* ჩეგოლა – ოქთორი მთა (მეგრ.)



კალმის მახვილით მივუხტები
სიკვდილს ჯიქურად,
ვერ დაიფარავს დამის ტინები.
ოცდამეერთე საუბუნის
კარს მოვიხურავ
და გავყვები მარადიულ ქამთა
დინებას,
უსასრულობის დასასრულამდე.

2004



ამ ფიგური პინადრობს

ზღვის ბორგება და თან მედიდურობა,
 მყარად მდგარ მთათა და
 მწვერვალთა
 და შიში კლდის პირს მდგარ ნაპრალის,
 რომელიც უფსკრულებს
 არ ყვარობს.
 და არსი ყოველი,
 მწერიც შესაბრალი,
 ამ წიგნში ბინადრობს მთლიანი
 სამყარო.

1984



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	6
ფაუსტური	25
ისევ დედამოკა	26
მუზების ტაძარი	27
თავს გგაწონებს ეს ბუნება	28
სვეტიცხოველი აღარ ახსენო	29
ქვეყანა კოლხ-იბერთა	30
როგორც მენავეთა მოძღვარს	31
*** ლამის იქიდან	32
რაა სიცოცხლე	33
პარნასისკენ მიმავალს	34
*** ხან თეთრი მოსავთ	35
გედეონის საწმისი	36
*** ცხოვრების დიად აზრით	37
შენი სსოფნა	38
დგას აღმართული	39
*** მარადისობის ცისფერ	40
იწყეს რეკვა ფარებმა	41
*** პონტოს ზვირთნი	42
*** რადგან ამქვეყნად	43

*** ველოდები იმ წუთებს	44
ვაინახები	45
*** გამოენიისას ვარსკვლავები	46
დილექტი	47
აკე	48
ხედავთ	49
ხაშეფსუტის მუმია	50
მგალობელი ცაცხვი	51
კამათლები	52
არესის ქანდაკება სპარგაში	53
*** ვიცით, რომ ცხოვრება	54
*** ობლად დარჩენილ	55
არის დიდი სამეფო	56
ხობის და პალიასტომის ღვთისმშობელს	57
სიტურფის ნერგი	58
ფილემონ და ბავკიდე	59
როგორც გალილეველი	60
ვარ ბედნიერი	61
*** თვალს ჩაუკრავს მიწას	62
ფასიანე	63
სათაფლიასთან	64
გაუხედნავი კვიცები	65

დამე ფშავში.....	66
ხეები.....	67
*** ეპ, საუკუნე.....	68
მგოსანი.....	69
*** ჩემი წარმოსახვების	70
*** ვეღარ აჩერებს	71
სიყვარულო.....	72
ბუნება.....	73
ვანია არქიპოვი.....	74
ხმა იდუმალი.....	75
კავკასიონი	76
*** რადგან მოვედიოт	77
ასტროლოგიით	78
*** მარადიული, ვითარც ნათელი	79
ციცინათელა.....	80
ბჟაგავად გიტა.....	81
ნილოსი და ფაზისი.....	82
სიცოცხლე.....	83
იიდან და ენძელიდან.....	84
*** გამოჩნდა მტრედი	85
ვითარც ყივჩაღი.....	86
*** სიმდერის ტოტზე	87
ქაფი.....	88

*** იბობოქრეს და ბოლოს.....	89
არმაზ და ზადენ	90
კოლხეთი იყო სამოთხე.....	91
*** დასავლით მიჰქრის	92
*** მისთვის დღე იყო	93
*** დღისა და ღამის მღვრიე	94
*** გაჩენის დღიდან	95
სიყვარულის მტევანი.....	96
გვიდგას თვალებში.....	97
მარილზე მიხვალ აღზევანს	98
იმედი	99
თენება და ღამება	100
*** მზე ბავშვივით	101
*** არაქაური უბერავს ქარი	102
ხეთური და ხათური	103
ფასიანეს ქანდაკება.....	104
*** სულო	105
ბერძენმა და კელტებმაც	106
*** მაწვალებს ზეცის უსასრულობა... ..	107
ცხენისწყალთან	108
*** დასაბამიდან მოდგმას ადამის	109
პეგასიც და ბუცეფალიც	110
*** ვითარც შეეძლოთ	111

რიპო, ლილე, შამაშ-რერა.....	112
*** ის ყველგან არის.....	113
ვერხვი, ოლე.....	114
*** დღის ბოლოს კი.....	115
ახალი მთვარე.....	116
*** ბაღში მდგარ ციცქა	117
ცამეტური.....	118
*** მდგარი პონტოს ზღვის.....	119
ძახილი	120
*** რომ ვედარ იცნონ.....	121
ვერ დავეხსნები.....	122
*** ცის ქუჩაში ქარი კვლავ ყრის	123
ბიბლიიდან	124
დიდ თურქობა – 1080.....	125
სოდომ და გომორა.....	126
ლეგენდის მხარე	127
მოხვია.....	128
*** კანარის ჩიტი.....	129
*** როგორც მგოსანი	130
*** სიმყუდროვეში თვლემდა	131
ცაზე კოლხეთის.....	132
მთვარე.....	133
დიდი კოლხეთი	134

ჩიტი მოგდევს და მოგძახის.....	135
მეგალითები.....	136
*** ლამეს ქათქათა	137
ნანა, ლილე და ენ-ლილი	138
*** მონატრება სულს.....	139
გორდა, ფრანგული, დავითფერული....	140
*** ვით დედა.....	141
ესპანეთში	142
*** მიმწუხრისას.....	143
ხმალში იწვევ.....	144
არმაზის მთები	145
მანგუ, ოენგრი, ქუჩუნდურ	146
*** მიმწუხრისას კრწანისთან	147
შენი ლექსები ლოცვებია.....	148
გედის მღერა	149
მუდამ დავეხეტები	150
ქვევრები	151
უშბა, შხარა და ოეონულდი.....	152
ისევ გზა და გზა.....	153
ილოსი	154
შეკივლება ამორძალის	155
გლეხკაცის სიკვდილი.....	156
უტუფურსი.....	157

ვარ ბედნიერი.....	158
*** ლოდის ნატეხი მედება.....	159
*** ყოვლისმხილველი	160
*** მოდიან ლურჯი განთიადები.....	161
*** ამბობენ.....	162
*** სხვას არა.....	163
*** კოლხეთით გადმოხვეწილი.....	164
სავლაკი.....	165
თუთხალია.....	166
*** აპა, მეოთხე წელია.....	167
არის საჩინო.....	168
*** გამოქცეული მთათა	169
კოლხების ზღვა, ზღვა.....	170
ვაჟა მთებს დასტრიალებს	171
*** ვით ძველად	172
*** სიკვდილი	173
*** ვით ბაყბაყ დევს	174
*** მამლის ყივილის.....	175
მერცხლები	176
სამდურავი	177
მეცხრე	178
ნეფერტიიტიონით	179
მთვარის ბინადარი	180

თვალს კოლხეთში ახელდა.....	181
კაცობრიობაგ.....	182
მოხედე.....	183
ლაშარი და ლომისი.....	184
ცაო	185
თეთროსანი	186
*** ღრუბლები	187
*** სანამ აბელი იყო.....	188
*** თეთრად გასკორილ	189
*** ზღვისკარად დამდგარს.....	190
ბოთლი	191
ვით ინის და იანის.....	192
*** გასცემერი სივრცეს.....	193
გზა შორეული.....	194
ლერწამი	195
*** მოქბს გადმოდიან	196
შემოდგომა	197
*** ქარი სახელოჩამოხეული	198
*** მზე იბანდა ოქროს	199
ფშავში	200
ქარიშხალი.....	201
მითრიდატე პონტოელის	202
წიგნის კითხვისას	203

ანდრია მოციქულს და სვიმონ	204
როგორც თეთრი და შავი	205
*** ცა	206
*** მოვალთ ტირილით	207
ბორგავს პონტო	208
*** მზეზე არა	209
დიდგორი	210
*** ზღვა იყო მკრთალი	211
ქრისტესავით ამაღლების	212
*** მიმწუხერისას ცის ტაძარში	213
აუმ	214
ირემი	215
სარვა გატა	216
*** ფეხდაფეხ დაგვდევ	217
ცა ვენახია	218
ქვეყნად ქართველი არასოდეს	219
საუკუნეა ოცდაცამეტი	220
აკრავს ელვის ოქროს ნალი	221
მწვანე ბორცვები	222
*** შორეთიდან მოსულებმა	223
კოლხეთის ძველ კარიბჭეს	224
გზა სიცოცხლის	225
სძინავთ პონტოში	226

*** ვერცხლისფრად მბზინავ	227
*** ამოცვივდნენ და ცას	228
*** როცა ამქვეყნად მოვალთ	229
*** ცაცხვებზე მოვლემარე	230
*** ორმოცდათი წელია	231
მწველსა და მშვენიერს	232
ბოლო იმედი	233
სადაც დანტეა	234
ბრძანებს მესია	235
ზამთრის ფლეიტა	236
*** თურქეთისაკენ მიქცეულ	237
*** დიღა ზღვად ჩაყრის	238
მთებს და მწვერვალებს	239
ცეროდენას ზღაპარი	240
*** დღეებს, ვით მეციხოვნეებს	241
ჩე გოლა	242
*** კალმის მახვილით	243
ამ წიგნში ბინადრობს	244

2. December 18



2020.6.

გაზა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ფორად
ფორმი 42

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 42

- | | |
|---------------------|----------------------|
| გამომცემლობის | – ხათუნა ამაღლობელი |
| რედაქტორი | – საართავ ცინცაძე |
| მხატვარი | – ირაკლი უშვილიშვილი |
| მხატვრული რედაქტორი | – ნანა ლუბაძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – განაც მაჟულაშვილი |
| კორექტორი | – ნანა ჭავჭავაძე |
| კომპიუტერული | – უზრუნველყოფა |
| კომპიუტერული | – ნანა ჭავჭავაძე |

გამომცემელი – ბათუ დოლგაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკნიკური №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com